

მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიები (სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის უსაფრთხოება) მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში

შორენა გიგაური*

შესავალი

მოსამართლის დამოუკიდებლობა არის როგორც ძირითადი პრინციპი, ისე თითოეული ქვეყნის მოქალაქის უფლება, მათ შორის მოსამართლეებისა, რომელთაც ახასიათებთ როგორც ინსტიტუციური, ისე ინდივიდუალური ასპექტი. თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოები უნდა ეფუძნებოდნენ ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, ხოლო ყველა მოსამართლეს მოეთხოვება მაქსიმუმის გაკეთება იმისთვის, რომ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა როგორც ინსტიტუციურ, ისე ინდივიდუალურ დონეზე.¹ თუმცა, აღნიშნული მოთხოვნის შესრულების მიზნით არანაკლები ვალდებულება ეკისრება გარე ფაქტორებს, როგორცაა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, სასამართლო სისტემის თვითმმართველობის ორგანო, კერძოდ, ინიცირება და მიღება მოახდინონ ისეთი საკანონმდებლო ნორმებისა, რომლებიც აღნიშნულ მიზანს ემსახურებიან და პრაქტიკაში განახორციელონ შესაბამისად.

მოსამართლის გათავისუფლების უფლებამოსილება თავისთავად წარმოადგენს საფრთხეს სასამართლოს (მოსამართლის) დამოუკიდებლობისთვის. მაგრამ, ამ უფლებამოსილების არსებობა აუცილებელი მოთხოვნაა იმ მარტივი მიზეზით, საზოგადოების დასარწმუნებლად, რომ მოსამართლე, რომელიც საკუთარ თანამდებობას არ შეეფერება და ვერ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, გათავისუფლდება თანამდებობიდან. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლის გათავისუფლების დებულებებში დაცული უნდა

* ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დოქტორანტი.

¹ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა 1 (2001) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიმართ, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სტანდარტებისა და მოსამართლეთა უცვლელობის წესის შესახებ, §10-13.

იყოს ბალანსი სასამართლოს (მოსამართლის) დამოუკიდებლობის დაცვასა და შეუსაბამო მოსამართლის გათავისუფლების ეფექტიან საშუალებებს შორის.²

იქიდან გამომდინარე, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება არის ძალიან მნიშვნელოვანი როგორც თავად მოსამართლის, ისე მთელი სასამართლო სისტემისა და საზოგადოებისთვის, აუცილებელია არსებობდეს დამოუკიდებლობის დამაბალანსებელი გარანტიები, ხოლო არარსებობის შემთხვევაში დაექვემდებაროს გამოსწორებას. სადაც, სასამართლოს შიდა და ასევე გარე დამოუკიდებლობის მიღწევის საუკეთესო გარანტს წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომლის ასეთი როლი აღიარებულია სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტების მიერ.³

იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლო სისტემაში ყველაზე კომპეტენტური, კეთილსინდისიერი და პატიოსანი კადრების უზრუნველყოფისა და მათი დამოუკიდებლობის მიზნით აუცილებელია მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის გარანტირება და თანამდებობიდან გათავისუფლების მკაცრად განსაზღვრული რეგულირება, ნაშრომში განხილულ იქნება სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლების, მათ შორის, დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საკანონმდებლო რეგულირებისა და პრაქტიკის თაობაზე.

მოცემულ ნაშრომში პრობლემური საკითხების მიმოხილვა საქართველოს მაგალითზე განხორციელდება. საქართველოს კანონმდებლობაში მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების მრავალი საფუძველი არსებობს, მათ შორის, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა, რომელთა საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკაში იმპლემენტაცია, გარკვეული რეფორმების მიუხედავად, კითხვის ნიშნებს აჩენს სასამართლოსა და მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

² The Honourable L J King AC QCt, Removal of Judges, Flinders Journal of Law Reform, 6, 2002-2003, 177.

³ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ ანგარიში (ნაწილი I): მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მიღებული ვენეციის კომისიის მიერ 82-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 12-13 მარტი, 2010 წ.), 71-ე პუნქტი.

შესაბამისად, ოპტიმალურ რეგულაციაზე მსჯელობისთვის, მნიშვნელოვანია საერთაშორისო აქტების, სხვადასხვა ქვეყნისა და საქართველოს გამოცდილების გაანალიზება და შეფასება. ამდენად, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, პასუხი გაეცეს კითხვას მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, მათ შორის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, და ამ მიზნით წარმოებული პროცესი რამდენად შეესაბამება მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიებს და სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

1. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა ტერმინმა „დამოუკიდებელმა სასამართლომ“ უნდა დააკმაყოფილოს, მათ შორის, ისეთი კრიტერიუმი, როგორცაა მოსამართლეების განწესება, მათი უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობა, გარე ზეგავლენის საწინააღმდეგო გარანტიები და საზოგადოების თვალში დამოუკიდებლობის აღქმა.⁴ რაც შეეხება გარე ზეგავლენისაგან დამცავ გარანტიებს, მოსამართლეები უნდა იქნენ დაცულნი უფლებამოსილების ვადაში თანამდებობიდან გათავისუფლებისაგან როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკაში.⁵ სტრასბურგის სასამართლო არ მოითხოვს უფლებამოსილების ვადაში გათავისუფლებისაგან ფორმალურ

⁴ *კემპბელი და ფელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Campbell and Fell v. the United Kingdom)*, 1984 წლის 28 ივნისი, 78-ე პუნქტი, *ლე კომპტი, ვან ლევენნი და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ (Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium)*, 1981 წლის 23 ივნისი, 55-ე პუნქტი; *ბელილოსი შვეიცარიის წინააღმდეგ (Belilos v. Switzerland)*, 1988 წლის 29 აპრილი, 64-ე პუნქტი; *მიხაილოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Mihailov v. Bulgaria)*, 2005 წლის 21 ივლისი, 37-ე პუნქტი.

⁵ *ენგელი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Engel and others v. Netherlands)*, 1976, *ზანდი ავსტრიის წინააღმდეგ (Zand v. Austria)*, 1978 წლის 12 ოქტომბერი.

დაცვას კანონმდებლობით, არამედ მის ფაქტობრივ განხორციელებას და აუცილებელი გარანტიების არსებობას.⁶

მოსამართლის დამოუკიდებლობის გაეროს ძირითადი პრინციპების თანახმად, მოსამართლის დამოუკიდებლობის ფუნდამენტური პრინციპია, მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გარანტირება სავალდებულო საპენსიო ასაკის მიღწევამდე⁷ ან უფლებამოსილების წინასწარ დადგენილი ვადის ამოწურვამდე.⁸

ვენეციის კომისია მხარს უჭერს მოსამართლის უცვლელობის (*irremovability*) პრინციპის ქვეყნის უმაღლესი კანონით, კონსტიტუციით გარანტირებას.⁹ რაც თავის მხრივ დაცვის მეტ ხარისხს იძლევა. იმავეს იმეორებს ევროპის მოსამართლეთა

⁶ *ეკლესი, მაკფილიპსი და მაკშეინი ირლანდიის წინააღმდეგ*, (*Eccles, McPhillips and McShane v. Ireland*), 1988, ერთ-ერთ ასეთ გარანტიად გასაჩივრების შესაძლებლობაა მიჩნეული.

⁷ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა 1 (2001) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიმართ, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სტანდარტებისა და მოსამართლეთა უცვლელობის წესის შესახებ, პუნქტები 58-59, სადაც ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ აღნიშნა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკაში სავალდებულო საპენსიო ასაკი განსაზღვრული არ არის, თუმცა „შესაძლებელია იუსტიციის მინისტრის მიერ მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება 65 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ“.

⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ, მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის 13 დეკემბერს (რეზ. № 40/146), §11-12; მოსამართლეთა უცვლელობის (*irremovability*) პრინციპი ასევე, სრულყოფილად გარანტირებულია წევრ სახელმწიფოთა მიმართ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით Rec (94)12, მიღებული 1994 წელს, კერძოდ, I.3 ნორმით, რომელიც შემდგომში ჩაანაცვლა წევრ სახელმწიფოთა მიმართ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და მოვალეობების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec (2010)12 რეკომენდაციამ, სადაც ნათქვამია, რომ როგორც დანიშნულ, ისე არჩეულ მოსამართლეთა გარანტირებული უნდა ჰქონდეთ სამსახურის ვადა, რომელიც შეწყდება საპენსიო ასაკის მიღწევით ან თანამდებობის დაკავების ვადის გასვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

⁹ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ ანგარიში (ნაწილი I): მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მიღებული ვენეციის კომისიის მიერ 82-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 12-13 მარტი, 2010 წ.), პუნქტი 43.

საკონსულტაციო საბჭოც, რომელიც აღნიშნავს, რომ მოსამართლეთა უცვლელობა მათი დამოუკიდებლობის კონკრეტული შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს და გარანტირებული უნდა იქნას ქვეყნის უმაღლესი შიდა კანონით.¹⁰ ამდენად, მოსამართლის უფლებამოსილების ვადა, მისი უცვლელობა და დამოუკიდებლობა უნდა იყოს ადეკვატურად გარანტირებული ქვეყნის უმაღლესი კანონის, კონსტიტუციის მიერ.

თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოსამართლის მიერ უფლებამოსილების ვადით სარგებლობა და მისი უცვლელობის გარანტირება არ ნიშნავს იმას, რომ იგი არ დაექვემდებარება შესაბამის სანქციას გარკვეული გადაცდომის ჩადენის ან კანონით დადგენილი მართლზომიერი მოთხოვნის შემთხვევაში.

ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველების სწორ, ნათელ და არა ბუნდოვან ჩამონათვალს, რაც ამცირებს დისკრეციული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტიის თანახმად, მოსამართლე წევრებს საკუთარ საქმიანობას თანამდებობიდან გადადგომით, ფიზიკური შეუსაბამობის დამადასტურებელი სამედიცინო საბუთის საფუძველზე,¹¹ ასაკობრივი ზღვრის მიღწევით, კანონით დადგენილი ვადის ამოწურვით ან, დისციპლინური სამართლაწარმოების შესაბამისად თანამდებობიდან გათავისუფლებით.¹²

თავის მხრივ, სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილება, განიხილოს მოსამართლის მიერ ჩადენილი

¹⁰ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა 1 (2001) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიმართ, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სტანდარტებისა და მოსამართლეთა უცვლელობის წესის შესახებ, პუნქტი 60.

¹¹ ვენეციის კომისიამ უკრაინის კანონმდებლობაზე მოსაზრებების დაფიქსირებისას აღნიშნა, რომ მოსამართლის გათავისუფლების საფუძველად უნდა მიეთითოს მისი შრომისუუნარობა (legal incapacity), CDL-AD(2013)014, Opinion, On the Draft Law on The Amendments to the Constitution, Strengthening the Independence of Judges and on the Changes to the Constitution Proposed By the Constitutional Assembly of Ukraine, adopted by the Venice Commission at its 95 th Plenary Session (Venice, 14-15 June 2013), Paras 22-24.

¹² ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, სტრასბურგი, 1998 წლის 8-10 ივლისი, § 7.1.

გარკვეული გადაცდომები და იმსჯელოს ამაზე, ემსახურება როგორც სასამართლო ხელისუფლების კარგ ფუნქციონირებას, ისე სასამართლო დამოუკიდებლობას როგორც უფრო შორს მიმართულ მიზანს. თუმცა, როგორც ვენეციის კომისია აღნიშნავს, კანონის უზენაესობის პრინციპთან შეუსაბამო იქნება სათანადო გარანტიების უზრუნველყოფის გარეშე მოქმედი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება.¹³

ვენეციის კომისიამ უკრაინის კანონმდებლობაზე მოსაზრებების დაფიქსირებისას აღნიშნა, რომ ისეთი ბუნდოვანი და ფართო ნორმების გამოყენება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლად, როგორც არის მაგალითად, ფიცის დარღვევა, არ შეესაბამება მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპს.¹⁴ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების ადეკვატურ საფუძვლად არც სასამართლოების გაუქმების, შემცირების საკანონმდებლო ნორმა მიიჩნევა. ეს პროცესი თავის მხრივ რეორგანიზაციას იწვევს სისტემაში, რა დროსაც საერთაშორისო სტანდარტები მოსამართლის იმავე ინსტანციის სხვა სასამართლოში დანიშნას მოითხოვენ.¹⁵

ამასთან, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლის არსებობა-არარსებობის საკითხი უნდა დაადგინოს დამოუკიდებელმა ორგანომ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსამართლის ავტომატური გათავისუფლების საფუძვლის – ასაკობრივი ზღვრის მიღწევის ან კანონით დადგენილი ვადის ამოწურვის – გარდა სხვა შემთხვევებში.¹⁶

¹³ CDL-AD(2008)007, Opinion on the Draft Laws on Judges and the Organisation of Courts of the Republic of Serbia, adopted 74th Plenary Session, Venice, 14-15 March 2008, § 61.

¹⁴ CDL-AD(2013)014, Opinion, On the Draft Law on The Amendments to the Constitution, Strengthening the Independence of Judges and on the Changes to the Constitution Proposed By the Constitutional Assembly of Ukraine, adopted by the Venice Commission at its 95th Plenary Session (Venice, 14-15 June 2013), Para 22-24. *ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ (Oleksandr Volkov v. Ukraine)* 2013 წლის 27 მაისი.

¹⁵ Beijing Statement of Principles of the Independence of the Judiciary in the Law Asia Region, 1995, art 29.

¹⁶ ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, სტრასბურგი, 1998 წლის 8-10 ივლისი, §7.2, ყველა იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება... მათ შორის სამსახურებრივი ვადის შეწყვეტას, სტატუტი ითვალისწინებს აღმასრულებელი და

ამდენად, მნიშვნელოვანია, სხვადასხვა მიდგომა არსებობდეს მოსამართლის გათავისუფლებისა მის მიერ უფლებამოსილების ვადის ამოწურვის ან საპენსიო ასაკის მიღწევის, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების და მოსამართლის მიერ გადაცდომის ან დანაშაულის ჩადენის გამო.¹⁷ მიზანშეწონილია, აშკარა განსხვავებული მიდგომა და პროცესი არსებობდეს აღნიშნულ ორ სხვადასხვა შემთხვევაში.¹⁸ აქედან გამომდინარე, აუცილებელია მოსამართლის გათავისუფლებისა და მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები ნათლად განისაზღვროს პროპორციულობის პრინციპის დაცვის მიზნით.¹⁹ სადაც მოსამართლის გათავისუფლება შესაძლებელი იქნება მხოლოდ განსაკუთრებით სერიოზულ ან განმეორებითი ქმედებების შემთხვევებში და არანაკლებად მძიმე გადაცდომების შემთხვევაში.²⁰ მეორე მხრივ, არ უნდა იქნეს გამორჩენილი ისეთი შემთხვევები, როცა მოსამართლე განზრახ და სისტემატურად არღვევს წესებს.²¹ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საქმე კი, აუცილებლად უნდა განიხილოს ხელისუფლების სხვა შტოებისგან დამოუკიდებელმა ორგანომ, რომელიც მოსამართლეთა უმრავლესობით არის

საკანონმდებლო ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ორგანოს მონაწილეობას, რომლის შემადგენლობის, სულ ცოტა, ნახევარი შედგება მოსამართლეებისგან, რომლებიც არჩეული არიან კოლეგების მიერვე სასამართლო ხელისუფლების ყველაზე ფართო წარმომადგენლობის უზრუნველმყოფი მეთოდების საფუძველზე.

¹⁷ CDL-AD(2010)003, Joint Opinion on the Draft Law on the Judicial System and the Statute of Judges of Ukraine, Adopted by the Venice Commission at its 82nd Plenary Session (Venice, 12-13 March 2010), §60.

¹⁸ იქვე, უკრაინის კანონმდებლობით გათვალისწინებული საერთო წესი მოსამართლის გათავისუფლების როგორც ჯანმრთელობის გაუარესების, ისე დანაშაული ჩადენის შემთხვევაში, ვენეციის კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა.

¹⁹ CDL-AD(2007)003, Opinion on the Draft Law on the Judiciary and the Draft Law on the Status of Judges of Ukraine, adopted by the Venice Commission at its 70th Plenary Session (Venice, 16-17 March 2007), 45.

²⁰ იქვე, მაგალითად, საგზაო შემთხვევის გამო პასუხისგებაში მიცემის გამო.

²¹ იქვე.

დაკომპლექტებული.²² ხოლო არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მოსამართლემ უნდა ისარგებლოს გასაჩივრების მნიშვნელოვანი უფლებით.²³

2. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით

როგორც საერთაშორისო სტანდარტებში აღინიშნა, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული და არ უნდა ტოვებდეს ფართო დისკრეციის არეალს, ხოლო გადაცდომები, რომლებიც დამატებით შესწავლასა და მოკვლევას საჭიროებენ, ცალკე უნდა გაინსაზღვროს შესაბამისი პროცესისა და საპროცესო გარანტიების მითითებით. ამდენად, მოსამართლის ავტომატური გათავისუფლების საფუძვლები მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული იმ საფუძვლებსგან, რომლებიც კანონმდებლობისა თუ დადგენილი პრაქტიკის საფუძველზე მეტ შესწავლას საჭიროებენ. რაც, თავის მხრივ, საპროცესო გარანტიებთან და სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნებთან არის მჭიდრო კავშირში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა რამდენიმე ქვეყნის მაგალითის განხილვა.

2.1 მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლების შედარებითი ანალიზი

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების სხვადასხვა საფუძველი არსებობს.

გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლის თანხმობის (პირადი განცხადების) გარეშე მოსამართლის გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც საბოლოოა და სავალდებულოა

²² CDL-AD(2010)003, Joint Opinion on the Draft Law on the Judicial System and the Statute of Judges of Ukraine, Adopted by the Venice Commission at its 82nd Plenary Session (Venice, 12-13 March 2010), 68, ასეთი უფლებამოსილება მინიჭებული უნდა ჰქონდეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

²³ Enid Campbell, Judicial Review of Proceedings for Removal of Judges From Office, UNSW Law Journal 22(2), 1999, p. 336, თუ იგი მიიჩნევს, რომ მის მიმართ მიღებულია მცდარი და უსამართლო გადაწყვეტილება.

შესასრულებლად.²⁴ ხოლო მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებია: 1. მოქალაქეობის დაკარგვა, სხვა საჯარო სამსახურში დასაქმება, სამხედრო სამსახურში მოღვაწეობა; 2. ფიცის არდადება,²⁵ მოსამართლედ განწესების დროს ბუნდესტაგის ან რომელიმე მიწის პარლამენტის წევრობა და ამ თანამდებობიდან გონივრულ ვადაში არგადადგომა; 3. საპენსიო ასაკის მიღწევა, პირადი განცხადება, ქვეყნის დიდი ხნით დატოვება, რაზეც თანხმობა არ არსებობს ხელმძღვანელი ორგანოებიდან. მოსამართლეს უფლებამოსილების ვადა შეიძლება შეუწყდეს ასევე სასამართლოს მიერ მიღებული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე.²⁶

გარდა იმისა, რომ გერმანიის კანონმდებლობა სიფრთხილით ეკიდება მოსამართლეთა გათავისუფლების საფუძვლების არაბუნდოვანი ჩანაწერის გაკეთებას და მოსამართლის თანამდებობიდან ავტომატური გათავისუფლების საფუძვლები ზუსტად განსაზღვრული მოთხოვნის დადგომას უკავშირდება, აღსანიშნავია, რომ იგი ასევე მოსამართლის დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით მაღალ სტანდარტს აწესებს მოსამართლის თანხმობის გარეშე არსებული ყველა გადაწყვეტილების სასამართლოს წესით მიღების საშუალებით.

ესტონეთის კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლე შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან, თუ: მას სურს რომ გახდეს ადვოკატი, მიაღწია საპენსიო ასაკს, თანამდებობაზე დანიშნიდან 3 წლის განმავლობაში დადგინდა, რომ ვერ აკმაყოფილებს თანამდებობისთვის დადგენილ მოთხოვნებს, ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ან სასამართლოს ლიკვიდაციის ან

²⁴ Section 21, the German Judiciary Act, in the version of the promulgation of 19 April 1972 (Federal Law Gazette Part I p. 713), as last amended by Article 9 of the Act of 5 February 2009 (Federal Law Gazette, Part I, 160).

²⁵ უკრაინის კანონმდებლობის მაგალითზე მოსამართლის დამოუკიდებლობასთან შეუსაბამოდ და ფართო ცნებად ჩაითვალა ვენეციის კომისიის მიერ მოსამართლის მიერ ფიცის დარღვევა. თუმცა, მოსამართლის მიერ ფიცის არდადება ნაკლებად წარმოდგენს შეფასებით კატეგორიას.

²⁶ Section 24, the German Judiciary Act, in the version of the promulgation of 19 April 1972 (Federal Law Gazette Part I p. 713), as last amended by Article 9 of the Act of 5 February 2009 (Federal Law Gazette, Part I, 160).

მოსამართლეთა რაოდენობის შემცირების გამო.²⁷ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოში საერთო წესით, თუმცა, დღემდე ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.²⁸

მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ყველა გადაწყვეტილება, გარდა თანამდებობისთვის დადგენილი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობისა და სასამართლოს ლიკვიდაციის ან მოსამართლეთა რაოდენობის შემცირებისა, წარმოადგენს მოსამართლის ნებას და დამყარებულია ობიექტურ კრიტერიუმებზე. ხოლო გამონაკლის ორ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად ამომწურავად არის მთელი პროცესი გაწერილი, სადაც მოსამართლის გათავისუფლებაზე უფლებამოსილი ორგანოს გარდა ჩართულნი არიან სხვადასხვა ორგანოები და შესაბამისი საპროცესო გარანტიების საფუძველზე მათი თანხმობა აუცილებელი.²⁹

უნგრეთის კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლე შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან მხოლოდ კანონით დადგენილი საფუძვლის არსებობისას და პროცედურის შესაბამისად. ეს საფუძვლებია: პირადი განცხადება, მოსამართლის საქმიანობის განხორციელების მუდმივად შეუძლებლობა, სისხლის სამართლებრივი მსჯავრდება, დისციპლინური პასუხისმგებლობა, საპენსიო ასაკის მიღწევა, მოქალაქეობის დაკარგვა, პოლიტიკურ ან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არჩევა ან დანიშვნა, რაც არ შეესაბამება მოსამართლის საქმიანობას (თანამდებობას).³⁰ ამ შემთხვევაში მოსამართლის თანამდებობიდან ავტომატური გათავისუფლების საფუძველი, რომელიც დამატებით შესწავლასა და მოკვლევას საჭიროებს არის მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობა, რაც, რა თქმა უნდა, ცალკე სამართალწარმოების გზით მიმდინარეობს.³¹

²⁷ Seibert-Fohr, Anja, ed., *Judicial Independence in Transition*, Springer, 2012, 774.

²⁸ იქვე.

²⁹ Seibert-Fohr, Anja, ed., *Judicial independence in transition*, Springer, 2012, 775, ესენია: საგამოცდო კომიტეტი, დისციპლინურ საკითხებზე პასუხისმგებელი ორგანო და იუსტიციის საბჭო.

³⁰ Seibert-Fohr, Anja, ed., *Judicial Independence in Transition*, Springer, 2012, 808.

³¹ იქვე.

მოსამართლეთა ავტომატური გათავისუფლების ჩამონათვალში ერთ-ერთ დიდ პრობლემას, ასევე, წარმოდგენს მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლება სასამართლოების გაუქმების, შემცირების შემთხვევაში, რაც ავსტრალიის კანონმდებლობის მიხედვით მოსამართლის გათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველია.³² საერთაშორისო სტანდარტები კი მოითხოვენ, რომ სასამართლოს გაუქმების შემთხვევაში, რეორგანიზაციის საფუძველზე, მოსამართლე უნდა დაინიშნოს იმავე ინსტანციის სხვა სასამართლოში.³³ ავსტრალიის მაგალითზე მოსამართლის ავტომატური გათავისუფლების სხვა საფუძველიც შეფასდა არადამაკმაყოფილებლად, როგორცაა „დამტკიცებული გადაცდომა“ (proved misbehavior).³⁴ სადაც, გადაცდომა, უფლების ბოროტად გამოყენებისთვის დიდი არეალის დატოვების გამო, შეფასდა ძალიან ფართო ცნებად.³⁵

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, აქ მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების კარგად ცნობილ პროცედურას წარმოდგენს იმპიჩმენტი, რომელიც ამერიკის 46 შტატში არსებობს. თავის დროზე, ამერიკის კონსტიტუციაში მისმა ფუძემდებლებმა მოსამართლეთა დისციპლინა და ანგარიშვალდებულება გააერთიანეს მესამე მუხლში, მოსამართლეთა უფლებამოსილების კარგი ქცევის ვადით, უვადოდ განწესებით, მათი ანაზღაურების შემცირების აკრძალვითა და გათავისუფლების შესაძლებლობის დაწესებით მხოლოდ იმპიჩმენტისა და მსჯავრდების შემთხვევაში.³⁶ ამერიკის კონსტიტუციის მიხედვით, იმპიჩმენტის პროცედურას ძირითადად საფუძვლად უდევს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას კორუფციული ქმედება, დანაშაული, მცირე

³² The Honourable L J King AC QCt, Removal of Judges, Flinders Journal of Law Reform, 6, 2002-2003, 180.

³³ Beijing Statement of Principles of the Independence of the Judiciary in the Law Asia Region, 1995” art 29.

³⁴ H. P. Lee, ed., Judiciaries in Comparative Perspective, Cambridge University Press, 2011, 35-36, მოსამართლის ავტომატური გათავისუფლების სხვა საფუძველია, ასევე, მოსამართლის შეუძლებლობა (incapacity).

³⁵ იქვე, 37.

³⁶ Randyj. Holland, Cynthia Gray, Judicial Discipline: Independence with Accountability, Widener Law Symposium Journal, 5, 2000, 119.

სამართალდარღვევა, რომელსაც ხშირად თან სდევს მოსამართლეთა გათავისუფლება.³⁷

ამდენად, ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდხანს მხოლოდ ერთი სანქცია არსებობდა მოსამართლის გათავისუფლების სახით. მხოლოდ არსებული მეთოდის არსებობა მის მიღმა ტოვებდა მოსამართლის შესაძლო გათავისუფლების საკითხის ჯეროვანი განხილვის საკითხს სხვა მოსამართლის გათავისუფლების სხვა მართლზომიერი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში. მოგვიანებით ამ პრობლემას უპასუხეს დისციპლინური სამართალწარმოების შემოღებით, რაც ერთდროულად ორ საჭიროებას აღიარებდა: მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება საკუთარი გადაცდომების გამო. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი იყო 1947 წლის კონსტიტუციური ცვლილება,³⁸ რომლის შესაბამისად, შეიქმნა ნიუ იორკის სამოსამართლო საკითხთა სასამართლო, რომელიც უფლებამოსილი იყო განეხილა მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი შესაბამისი მიზეზის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული პროცესი აუცილებლად არ იწვევს მოსამართლის გათავისუფლების სანქციის შეფარდებას და ასევე, არ უკავშირდება გადაწყვეტილების არსებითი მხარის შემოწმებას.³⁹ ამ პროცესის შესაბამისად, მოსამართლე, ასევე, შესაძლებელია გათავისუფლდეს მენტალური ან ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვის შემთხვევაში, რაც საკუთარი საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას უშლის ხელს.⁴⁰

³⁷ Judicial Discipline, Removal, and Retirement, Comment, *Winsconsin Law Review*, 1976, 564. მოსამართლის გათავისუფლების კენჭისყრა საჭიროებს კონგრესის 2/3 ხმას.

³⁸ NY Const. art. VI, &22.

³⁹ Randyj. Holland, Synthia Gray, *Judicial Discipline: Independence with Accountability*, *Widener Law Symposium Journal*, 5, 2000, 125. ამ პროცესს ახორციელებენ სამოსამართლო ქცევის ორგანიზაციები.

⁴⁰ *Judicial Discipline, Removal, and Retirement, Comment, Winsconsin Law Review*, 1976, p. 567. ეს სასამართლო წინ გადადგმულ ნაბიჯად ითვლებოდა მოსამართლეთა გათავისუფლების საკითხის ჯეროვანი განხილვისა და გადაწყვეტის კუთხით. 25 წლის განმავლობაში სასამართლომ მხოლოდ 6 საქმე განიხილა, რომლებიც მოსამართლის შეუფერებელ საქმიანობას ეხებოდა და აქედან ორი საქმე მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებით დასრულდა.

2.2 მოსამართლის გათავისუფლების საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, უზრუნველყოფილია სასამართლოს (მოსამართლის) უცვლელობისა და დამოუკიდებლობის გარანტიები. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებს მხოლოდ სასამართლოები.⁴¹ ასევე, დაუშვებელია მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.⁴² ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.⁴³

თანამდებობიდან მოსამართლის გათავისუფლების საკანონმდებლო რეგულირება მოწესრიგებულია საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 42-ე და 43-ე მუხლებით. იმპიჩმენტის პროცედურა, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზე ვრცელდება. რომლის თანამდებობიდან გადაყენება ხდება იმპიჩმენტის წესით საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან/და ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში.

უზენაესი სასამართლოს წევრს უფლებამოსილებას ვადაზე ადრე უწყვეტს საქართველოს პარლამენტი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, ხოლო სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.⁴⁴

ამავე კანონის 43-ე მუხლის თანახმად, მოსამართლის (მათ შორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის) თანამდებობიდან ავტომატური გათავისუფლების საფუძვლებია: ა) პირადი

⁴¹ საქართველოს კონსტიტუციის 82 (3) და 84 (1) მუხლი. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემოჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს.

⁴² საქართველოს კონსტიტუციის 84 (2) მუხლი.

⁴³ საქართველოს კონსტიტუციის 84 (4) მუხლი.

⁴⁴ ორგანული კანონის 42-ე მუხლი.

განცხადება;⁴⁵ ბ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენა;⁴⁶ გ) მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა;⁴⁷ დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;⁴⁸ ე) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;⁴⁹ ვ) მის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;⁵⁰ ზ) 65 წლის ასაკის მიღწევა;⁵¹ თ) კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;⁵² ი) გარდაცვალება;⁵³ კ) სასამართლოს ლიკვიდაცია, მოსამართლის თანამდებობის

⁴⁵ 2009-2013 წლების სტატისტიკის თანახმად, პირადი განცხადების საფუძველით 25 საქმე დასრულდა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებით.

⁴⁶ 2009-2013 წლების სტატისტიკის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველით 7 საქმე დასრულდა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებით. ამ შემთხვევისთვის აუცილებელია სადისციპლინო კოლეგიის წარდგინების არსებობა.

⁴⁷ 2009-2013 წლების სტატისტიკის თანახმად, შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელების საფუძველით 4 საქმე დასრულდა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებით.

⁴⁸ ამ საფუძველით არ წარმოებულა არც ერთი საქმე.

⁴⁹ ამ საფუძველით არ წარმოებულა არც ერთი საქმე.

⁵⁰ 2009-2013 წლების სტატისტიკის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველით 2 საქმე დასრულდა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებით.

⁵¹ 2009-2013 წლების სტატისტიკის თანახმად, საპენსიო ასაკის მიღწევის საფუძველით 3 საქმე დასრულდა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებით.

⁵² ამ საფუძველით არ წარმოებულა არც ერთი საქმე. ნორმა ახალი რედაქციით „კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენა „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად“ ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

⁵³ 2009-2013 წლების სტატისტიკის თანახმად, გარდაცვალების საფუძველით 5 საქმე დასრულდა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებით.

შემცირება;⁵⁴ ლ) სხვა სასამართლოში დანიშვნა (არჩევა);⁵⁵ მ) სხვა დაწესებულებაში თანამდებობაზე არჩევა ან დანიშვნა;⁵⁶ ნ) უფლებამოსილების ვადის გასვლა.⁵⁷ ასევე, ბოლო 12 თვის განმავლობაში 4 თვეზე მეტ ხნის განმავლობაში უფლებამოსილების განუხორციელებლობა და შესაბამისი სამედიცინო დასკვნის არსებობა, რომლის თანახმადაც, დასტურდება, რომ იგი მომავალშიც ვერ შეძლებს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას.⁵⁸

მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების ჩამოთვლილ საფუძვლებს თუ დავყოფთ ორ მიმართულებად, პირველი საკუთარი ნების საფუძველზე ან მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა⁵⁹ და მეორე გათავისუფლება საკუთარი ნების გამოხატვის გარეშე, მის მიერ განხორციელებული ქმედების ჩადენის გამო.⁶⁰ პირველ შემთხვევაში მოსამართლის მიერ

⁵⁴ ამ საფუძვლით არ წარმოებულა არც ერთი საქმე.

⁵⁵ 2009-2013 წლების სტატისტიკის თანახმად, უზენაეს სასამართლოში არჩევის საფუძვლით 3 საქმე დასრულდა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებით.

⁵⁶ ამ საფუძვლით არ წარმოებულა არც ერთი საქმე.

⁵⁷ 2009-2013 წლების სტატისტიკის თანახმად, უფლებამოსილების ვადის გასვლის საფუძვლით 86 საქმე დასრულდა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებით.

⁵⁸ ამ საფუძვლით არ წარმოებულა არც ერთი საქმე.

⁵⁹ პირადი განცხადება; სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული; საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა; 65 წლის ასაკის მიღწევა; გარდაცვალება; უფლებამოსილების ვადის გასვლა, სხვა სასამართლოში დანიშვნა (არჩევა); სხვა დაწესებულებაში თანამდებობაზე არჩევა ან დანიშვნა; ბოლო 12 თვის განმავლობაში 4 თვეზე მეტ ხანს საკუთარი უფლებამოსილების განუხორციელებლობა და შესაბამისი სამედიცინო დასკვნის არსებობა, რომლის თანახმადაც, იგი მომავალშიც ვერ შეძლებს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას.

⁶⁰ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა; მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა; კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად; სასამართლოს ლიკვიდაცია; მოსამართლის თანამდებობის

უფლებამოსილების გასვლა დამოკიდებულია საკუთარი ნების გამოხატვაზე ან კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის თუ პირობის დადგომაზე, რომელიც მოსამართლის გათავისუფლებაზე პასუხისმგებელი ორგანოს მხრიდან ინტერპრეტაციის ფართო არეალს არ იძლევა. შესაბამისად, ასეთი ჩამონათვალი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებისას ნაკლები კითხვის ნიშნებს აჩენს მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელყოფის თვალსაზრისით.⁶¹ ამ კატეგორიაში განსაკუთრებულ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს ბოლო 12 თვის განმავლობაში 4 თვეზე მეტ ხანს საკუთარი უფლებამოსილების განუხორციელებლობა და შესაბამისი სამედიცინო დასკვნის არსებობა, რომლის თანახმადაც, იგი მომავალშიც ვერ შეძლებს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას. ამ შემთხვევაში მოსამართლის გათავისუფლება მხოლოდ გამოუცხადებლობის შემთხვევის კი არა, სამედიცინო დასკვნის კუმულაციურად არსებობის შემთხვევაში განიხილება. ნორმის ასეთი ჩანაწერი შეიცვალა ვენეციის კომისიის მიერ გამოთქმული შენიშვნის საფუძველზე და მიჩნეულია, რომ ის პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს.⁶²

რაც შეეხება მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების მეორე კატეგორიას, ერთ-ერთი საფუძველის, დისციპლინური გადაცდომის არსებობა იწვევს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებას მხოლოდ სადისციპლინო ორგანოს წარდგინების საფუძველზე, რომელიც შესაბამისი მოკვლევისა და საქმის განხილვის საფუძველზე დგინდება.⁶³ მოსამართლის ავტომატური გათავისუფლების შემდეგი საფუძველი მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი

შემცირება; მის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა.

⁶¹ მაგალითად, სხვა სასამართლოში ან სხვა დაწესებულებაში მოსამართლის დანიშვნა/არჩევის შემთხვევაში მოითხოვება მოსამართლის თანხმობის დოკუმენტი.

⁶² „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილება შეტანილია 27/03/2012.

⁶³ იხ. 1.3. ქვეთავი. შესაბამისი სამართალწარმოების შედეგად დგინდება ასევე მოსამართლის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ავტომატური გათავისუფლების ჩამონათვალში სადავოდ არ არის გამხდარი.

თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა, ასევე წარმოადგენს დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების ერთ-ერთ საფუძველს (გადაცდომას), რომლის დადასტურებაც დისციპლინური სამართალწარმოების გზით მთელ რიგ პროცედურას მოითხოვს. ერთი და იმავე საფუძვლის ორივე ჩამონათვალში მითითება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დიდ დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს. კერძოდ, საქმე განიხილოს დისციპლინური სამართალწარმოების გზით, თუ პირდაპირ გადაწყვიტოს მოსამართლის ვადაზე ადრე გათავისუფლება მარტივად საბჭოს სხდომაზე კენჭისყრით.⁶⁴ ამ თვალსაზრისით დადებითად შესაფასებელია საკანონმდებლო სიახლე, რომელიც ჯერ კიდევ საპარლამენტო განხილვის პროცესშია და რომელიც 43-ე მუხლის ჩამონათვალიდან იღებს აღნიშნულ საფუძველს.⁶⁵

შემდეგი არანაკლებ სადავო საკითხია მოსამართლის გათავისუფლება სასამართლოს ლიკვიდაციის ან მოსამართლის თანამდებობის შემცირების საფუძველით. აღნიშნული საფუძველი რამდენჯერმე იყო გამოყენებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2012 წლამდე მცირე ზომის რაიონული (საქალაქო) სასამართლოების დიდ სასამართლოებად გაერთიანების დროს. სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესი, რა თქმა უნდა, არ უნდა იწვევდეს მოსამართლის თანამდებობიდან

⁶⁴ 2009-2013 წლების სტატისტიკის თანახმად, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის საფუძველით 4 საქმე დასრულდა რეზერვის მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საფუძველით მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლდნენ მხოლოდ რეზერვში ჩარიცხული მოსამართლეები, მათ მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების გამო, ეს მაინც ვერ გამორიცხავს ნორმის დისკრეციულად გამოყენების შესაძლებლობას. მოსამართლე ამორიცხება რეზერვიდან თანამდებობრივი სარგოს მიღების პერიოდში მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების შემთხვევაში ან პირადი განცხადების საფუძველზე – „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 44 (4) მუხლი.

⁶⁵ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე ორგანული კანონის პროექტი, თუმცა, ამ ცვლილების განხორციელების მიზეზი არ არის მითითებული კანონპროექტის განმარტებით ბარათში, იხ. <http://www.parliament.ge/law/9716/22697>.

გათავისუფლებას, არამედ მისი თანხმობით სხვა სასამართლოში გადანიშნას.⁶⁶ თუმცა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 44(2) მუხლის თანახმად, სასამართლოს ლიკვიდაციის, აგრეთვე მოსამართლის თანამდებობის შემცირების შემთხვევაში მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებაზე უარის თქმის ან მისთვის სხვა სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების არდაკისრების შემთხვევაში აღნიშნული მოსამართლე თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან და მისივე წინასწარი წერილობითი თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ირიცხება რეზერვში.⁶⁷ მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ნორმა ითვალისწინებს მოსამართლის წინასწარ თანხმობას, რეზერვში ჩარიცხვის მიზნით, იმ შემთხვევაში თუ ის უარს იტყვის რეზერვში ჩარიცხვაზე, სხვა სასამართლოში არდანიშვნის შემთხვევაში, ის ავტომატურად თავისუფლდება მოსამართლის თანამდებობიდან.

მოსამართლის ვადაზე ადრე თანამდებობიდან გათავისუფლების კიდევ ერთი საფუძველია კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად,⁶⁸ რაც კორუფციული სამართალდარღვევის

⁶⁶ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 44 (1) მუხლი, სასამართლოს ლიკვიდაციის, აგრეთვე მოსამართლის თანამდებობის შემცირების შემთხვევაში მოსამართლეს მისივე წინასწარი წერილობითი თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დაეკისროს შესაბამისი ან ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება. თუ მოსამართლე თანამდებობაზე განსაზღვრული ვადით არის დანიშნული, მას შესაბამისი ან ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს მხოლოდ მისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში.

⁶⁷ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 44 (3) მუხლი.

⁶⁸ თუ კორუფციული სამართალდარღვევის ჩამდენი თანამდებობის პირი, რომლის მიმართაც ასეთი ქმედობისთვის გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა გარდა თანამდებობიდან გათავისუფლების, წლის განმავლობაში ჩაიდენს ახალ კორუფციულ სამართალდარღვევას, იგი ექვემდებარება სამსახურიდან სავალდებულო გათავისუფლებას.

განმეორებითი ჩადენის შემთხვევაში მოსამართლის ავტომატურ გათავისუფლებას ითვალისწინებს. აღნიშნული საფუძვლის ბუნდოვანება იმაში მდგომარეობს, რომ თუ სამართალწარმოება სისხლის სამართალწარმოების შესაბამისად განვითარდება, არსებობს კი ამ ნორმის არსებობის საფუძველი, ვინაიდან, ამ შემთხვევაში მოსამართლის გათავისუფლება ბრალის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე მოხდება.⁶⁹ ხოლო თუ საქმე სისხლის სამართალწარმოების გზით არ წარიმართა, მაშინ ის დისციპლინური სამართალწარმოების გზით უნდა დადასტურდეს⁷⁰ და შესაბამისად, მოსამართლის გათავისუფლება სადისციპლინო კოლეგიის წარდგინების და არა მარტივად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კენჭისყრის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.⁷¹ აქვე აღსანიშნავია, რომ კორუფციული სამართალდარღვევა, პირველად არის თუ განმეორებით ჩადენილი, შესაბამის შესწავლა-მოკვლევას საჭიროებს.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების ავტომატური საფუძვლების განმხილველი ორგანო დამოუკიდებელია როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, დაკომპლექტებულია მოსამართლეთა უმრავლესობით და არსებობს მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, კანონმდებლობის დონეზე, არ უნდა არსებობდეს დისკრეციული უფლების ფართოდ გამოყენების შესაძლებლობა განხილული ნორმების საფუძველზე.⁷² ამდენად, მოსამართლის ავტომატური

⁶⁹ სსკ-ის 338-ე მუხლი კორუფციული დანაშაულის ყველა ზოგად ნიშანს მოიცავს.

⁷⁰ კორუფციული სამართალდარღვევა ასევე წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს.

⁷¹ არსებული სტატისტიკით ამ საფუძველით მოსამართლეები არ გათავისუფლებულან თანამდებობიდან.

⁷² „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, მოსამართლის ავტომატური გათავისუფლების საკითხს იხილავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც დამოუკიდებელი ორგანოა როგორც აღმასრულებელი, ისე საპარლამენტო ხელისუფლებისგან და მის ძირითად შემადგენლობას საერთო სასამართლოს მოსამართლეები წარმოადგენენ. ხოლო მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება

გათავისუფლების საფუძვლების საკანონმდებლო ნორმები კვლავ გადასახედია და საჭიროებს გარკვეული ცვლილებების განხორციელებას.

3. დისციპლინური პასუხისმგებლობა, როგორც მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების ერთი-ერთი საფუძველი

როგორც აღინიშნა, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია დისციპლინური გადაცდომა. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა ჯანსაღი, დამოუკიდებელი და ანგარიშვალდებულებული სასამართლო სისტემის აუცილებელი კომპონენტია, რომელიც მოსამართლეთა პროფესიული ქცევის სტანდარტების დაცვას, სასამართლოს ავტორიტეტის შენარჩუნებას, სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებას და მოქალაქეთა ნდობის გამტკიცებას ისახავს მიზნად. თუმცა, მეორე მხრივ, ცნობილია, რომ ამ მექანიზმის არასწორმა გამოყენებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სასამართლოსა და მოსამართლის დამოუკიდებლობას.

ამდენად, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება ურთიერთგამომრიცხავ ცნებებად არ არის მიჩნეული, ძირითადად ისინი ერთად მოიაზრება. მოსამართლის ანგარიშვალდებულება თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ თითოეულ ადამიანს, რომელიც მიმართავს სასამართლო სისტემას, უფლება აქვს მისი საქმე განხილულ იქნას სამართლიანად, ღია განხილვაზე გონივრულ ვადაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.⁷³ ამდენად, მოსამართლეები არ არიან ყოვლისშემძლედ მიჩნეულნი, ისინი მეტ მნიშვნელობას პროცესის მონაწილეთა უფლებებს უნდა

გასაჩივრდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით საერთო წესის შესაბამისად.

⁷³ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა 3 (2002) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიმართ, მოსამართლეთა პროფესიული ქცევის განმსაზღვრელი წესებისა და პრინციპების, კერძოდ, ეთიკის, შეუფერებელი საქციელისა და მიუკერძოებლობის შესახებ, პუნქტი 14.

ანიჭებდნენ.⁷⁴ აქედან გამომდინარე, ყველა ადამიანს, მართლმსაჯულების არასათანადოდ განხორციელების შემთხვევაში უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საჩივარი შეიტანოს დამოუკიდებელ ორგანოში.⁷⁵ მაგრამ მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ დისციპლინური სამართალწარმოება საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს სასამართლოს დამოუკიდებლობას.⁷⁶

შესაბამისად, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი ძალიან ფრთხილ და გონივრულ შესწავლას საჭიროებს. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში უნდა იყოს შესწავლილი პერიოდული, ემპირიული ფაქტები და მტკიცებულებები. ფაქტები, რომ მოსამართლის საქციელი აკნინებს საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემის მიმართ, მეტ და ძირეულ შესწავლას მოითხოვს, რაც აუცილებლად ყველა შემთხვევაში მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებით არ უნდა დასრულდეს.⁷⁷

ამ რთული მისიის ადეკვატურად შესრულების მიზნით, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის განხილვისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია აღნიშნული საკითხის განხილვაზე, დისციპლინურ გადაცდომათა სახეებისა და მათზე დაწესებული სანქციების განსაზღვრას და სამართალწარმოების პროცესში სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფას.

⁷⁴ იქვე.

⁷⁵ ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, სტრასბურგი, 1998 წლის 8-10 ივლისი, § 5.3, სადაც აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია, თუ გულდასმითა და დაწვრილებითი შემოწმებით უდავოდ გამოძიებულა მოსამართლის მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობა, საკითხი გადასცეს დისციპლინურ ორგანოს ან, ყოველ შემთხვევაში, რეკომენდაცია მაინც გაუწიოს ამ მიმართვას იმ ორგანოს წინაშე, რომელიც, ჩვეულებრივ, უფლებამოსილია გაგზავნოს ამგვარი მიმართვები.

⁷⁶ Steven Lubet, *Judicial Discipline and Judicial Independence, Law and Contemporary Problems*, Vol. 6165. No 3, 1998, p. 65. ყველაზე დიდი საფრთხე მაშინ წარმოიშობა, როცა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი ხდება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

⁷⁷ Donald J. Hall, *Judicial Removal for off-Bench Behavior: Why?* *Journal of Public Law* 21, Emory Law School, 1972, p. 149.

3.1 საერთაშორისო გარანტიები და რეკომენდაციები დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და მოსამართლის გათავისუფლების, როგორც დისციპლინური სახდელის ყველაზე მკაცრი ზომის შესახებ

მოსამართლის შეუცვლელი პრინციპიდან გამონაკლისის არსებობისას, რომელიც დისციპლინურ სამართალწარმოებასა და სანქციებს უკავშირდება, ყურადღება ექცევა ისეთ საკითხებს, როგორცაა ორგანო, რომელიც ახდენს აღნიშნული საკითხის განხილვას და იმ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება მოსამართლეების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრისას.⁷⁸ აქვე, ხაზგასმულია იმ ქმედებების ზუსტი განსაზღვრის აუცილებლობა, რომელთა შედეგად დასაშვებია მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება ან მის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განსაზღვრული შესაბამისი პროცედურების დაცვით.⁷⁹ ამასთან, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო მიიჩნევს, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხების განხილვისას დამოუკიდებელი ორგანოს⁸⁰ ჩარევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ასევე, სასარგებლოა იმ სტანდარტების შექმნა, რომლებიც არა მხოლოდ მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის გამომწვევ ქცევათა ჩამონათვალს განსაზღვრავენ, არამედ ქცევის იმ ტიპებსაც, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებები და სანქციები.⁸¹

⁷⁸ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია NR (94) 12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანი მუშაობისა და მათი როლის შესახებ, მიღებული 1994 წელს, პრინციპი VI (2) და (3).

⁷⁹ იქვე.

⁸⁰ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა 1 (2001) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიმართ, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სტანდარტებისა და მოსამართლეთა უცვლელი წესის შესახებ, 37- 45 პუნქტები.

⁸¹ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა 1 (2001) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიმართ, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სტანდარტებისა და მოსამართლეთა უცვლელი წესის შესახებ, პუნქტი 60; იმავეს ამბობს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები, კერძოდ, ყველა დისციპლინური სახდელი,

ამდენად, მოითხოვება, რომ მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოებისთვის ქვეყნებში არსებობდეს კანონის საფუძველზე სპეციალური უფლებამოსილი ორგანო,⁸² რომლის მოვალეობაც იქნება ნებისმიერი დისციპლინური ღონისძიების ან სანქციის გამოყენება და რომელთა გადაწყვეტილება გაკონტროლდება უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ ან რომლებიც თავად წარმოადგენენ უმაღლესი ინსტანციის სასამართლო ორგანოს.⁸³

დისციპლინური გადაცდომების კანონის დონეზე გაწერის ვალდებულება აღიარებულია მრავალი საერთაშორისო დასკვნის საფუძველზე.⁸⁴ მეტიც, დისციპლინური გადაცდომების ამომწურავი

უფლებამოსილებათა შეჩერება ან თანამდებობიდან გათავისუფლება განსაზღვრული უნდა იყოს ჩამოყალიბებული სტანდარტების შესაბამისად, მიღებული გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის 13 დეკემბერს (რეზ. № 40/146), § 19.

⁸² ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა 1 (2001) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიმართ, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სტანდარტებისა და მოსამართლეთა უცვლელობის წესის შესახებ. პუნქტი 59.

⁸³ იქვე. მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტიის მიხედვით, ეს როლი იმ დამოუკიდებელ ორგანოს ეკისრება, რომელიც მონაწილეობს მოსამართლეთა შერჩევისა და კარიერასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტში; მოსამართლის გათავისუფლებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების დამოუკიდებელი ორგანოს (ზემდგომი სასამართლო ორგანო) მიერ გადასინჯვის ვალდებულება მითითებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებში სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ, მიღებული გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის 13 დეკემბერს (რეზ. № 40/146), § 20, სადაც აღნიშნულია, ასევე, რომ ეს პრინციპი შესაძლოა არ გავრცელდეს უმაღლესი სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და კანონმდებელი ორგანოს მიერ იმპიჩმენტის ან მსგავსი პროცედურების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

⁸⁴ ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ (*Volkov v. Ukraine*), 2013 წლის 27 მაისი; CDL-AD(2013)034, Opinion on proposals amending the draft law on the amendments to the constitution to strengthen the independence of judges of Ukraine, paras. 54-55; CDL-AD(2014)006, Joint opinion of the Venice Commission and the Directorate of Human Rights (DHR) of the Directorate General of Human Rights and Rule of Law of the Council of Europe, and of the OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) on

სიის ჩამოთვლა და არა ზოგადი ფორმულირება, რომელიც შეიძლება იყოს ძალიან ბუნდოვანი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კარგ პრაქტიკას წარმოადგენს.⁸⁵ ქცევა, რომელიც იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, უნდა იყოს საკმარისად ნათლად ფორმულირებული, იმისთვის, რომ პირს ჰქონდეს შესაძლებლობა წინასწარ განჭვრიტოს აღნიშული ქმედების ჩადენისას მიღებული შედეგი. ვინაიდან, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების დეტალურად გაწერა ხელს შეუშლის მისი გამოყენებისას დისკრეციული და სუბიექტური ნების გამოვლენას.⁸⁶ მაგალითად, დისციპლინის პერიოდული დარღვევა, პროფესიული საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობა და ამორალური ქმედება წარმოადგენს ქმედებათა იმ კატეგორიას, რომლებიც განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებებია და უფლებამოსილების გადამეტებისა და ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას ქმნიან.⁸⁷

მოსამართლისადმი, მისი თანამდებობრივი და პროფესიული კომპეტენციიდან გამომდინარე, წარდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის წარმოება უნდა წარიმართოს სწრაფად და სამართლიანად შესაბამისი პროცედურის მიხედვით. მოსამართლემ უნდა ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოს უფლებით.⁸⁸

the draft law on disciplinary liability of judges of the Republic of Moldova, para. 33.

⁸⁵ CDL-AD(2014)006, Joint opinion of the Venice Commission and the Directorate of Human Rights (DHR) of the Directorate General of Human Rights and Rule of Law of the Council of Europe, and of the OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) on the draft law on disciplinary liability of judges of the Republic of Moldova, para. 15.

⁸⁶ CDL-AD(2014)018, Joint opinion of the Venice Commission and OSCE/ODIHR on the draft amendments to the legal framework on the disciplinary responsibility of judges in the Kyrgyz Republic, para. 24; CDL-AD(2014)008, Opinion on the draft Law on the High Judicial and Prosecutorial Council of Bosnia and Herzegovina, para. 90.

⁸⁷ CDL(1995)074rev, Opinion on the Albanian law on the organization of the judiciary (chapter VI of the Transitional Constitution of Albania), 4.

⁸⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ, მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის 13 დეკემბერს (რეზ. № 40/146) რეზოლუციით, § 17, სადაც აღნიშნულია ასევე, რომ საკითხის გამოძიების

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსამართლის მიერ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული რომელიმე მოვალეობის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს მის მიმართ სანქციის გამოყენება მხოლოდ არჩეული მოსამართლეებისგან შემდგარი სასამართლოს ან დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, სადაც გადაწყვეტილება მიიღება ხმათა, სულ ცოტა, ნახევრის გადაწყვეტილებით, წარდგინებით, რეკომენდაციით ან თანხმობით საქმის ისეთი წარმოების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა სრულ მოსმენას და, სადაც პასუხისმგებლობაში მიცემული მოსამართლე სარგებლობს წარმომადგენლობის ყოლისა და სამართლიანი სასამართლოს სხვა გარანტიებით.⁸⁹ სანქციის შეფარდება კი ხდება პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე.⁹⁰

3.2 დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და სახდელი – შედარებითი ანალიზი

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო დონეზე არ არსებობს ერთიანი მიდგომა მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის ორგანიზებასთან დაკავშირებით და განსხვავდება თითოეულ ქვეყანაში, დისციპლინური გადაცდომების უფრო ზოგადი თუ ძალიან დეტალური ფორმულირებით.⁹¹ თუმცა, მხოლოდ ის გადაცდომები, რომლებიც ჩადენილია განზრახ და უხეში დაუდევრობით, უნდა იწვევდეს დისციპლინურ პასუხისმგებლობას და შესაბამისად დისციპლინურ სახდელს.⁹²

საწყის ეტაპზე დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობა, თუ თავად მოსამართლე არ მოითხოვს საწინააღმდეგოს.

⁸⁹ ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, სტრასბურგი, 1998 წლის 8-10 ივლისი, § 5.1.

⁹⁰ იქვე.

⁹¹ CDL-AD(2014)018, Joint opinion of the Venice Commission and OSCE/ODIHR on the draft amendments to the legal framework on the disciplinary responsibility of judges in the Kyrgyz Republic, para. 23.

⁹² CDL-AD(2014)006, Joint opinion of the Venice Commission and the Directorate of Human Rights (DHR) of the Directorate General of Human Rights and Rule of Law of the Council of Europe, and of the OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) on the draft law on disciplinary liability of judges of the Republic of Moldova, paras.19 and 35.

სხვადასხვა ქვეყანაში მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი ზოგან ძალიან დეტალურია, ხოლო ზოგან ძალიან მწირი.⁹³ დისციპლინურ გადაცდომათა სახეების დეტალური საკანონმდებლო რეგულირების კუთხით გამოირჩევა იტალია და ესპანეთი, სადაც კანონი 30-ზე მეტი სახის გადაცდომას იცნობს.⁹⁴ შედარებით მწირი ჩამონათვალია მოცემული პოლონეთისა და მონტენეგროს კანონებში, სადაც კანონმდებელი რამდენიმე ზოგადი ნორმით შემოიფარგლება.⁹⁵

თუმცა, ამავე დროს შესაძლებელია მწირი საკანონმდებლო ჩამონათვალი შეივსოს მდიდარი სასამართლო პრაქტიკით. საფრანგეთის მაგალითზე ძალიან ზოგადი საკანონმდებლო ფორმულა დეტალურად არის განმარტებული მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ორასზე მეტ გადაწყვეტილებაში.⁹⁶

ზოგი ქვეყნის სისტემა დისციპლინურ დარღვევებს ყოფს სამ ჯგუფად: განსაკუთრებით მძიმე, მძიმე და მსუბუქი დარღვევები.⁹⁷ ამ დაყოფის ერთ-ერთი მიზანი არის ის, რომ სხვადასხვა კატეგორიის დარღვევებზე გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სანქცია.⁹⁸

ზოგი ქვეყანა დისციპლინურ დარღვევებს ასევე ყოფს იმ გადაცდომებად, რომლებიც შეიძლება ჩადენილ იქნას მოსამართლის მიერ სამოსამართლო საქმიანობის

⁹³ CDL-AD(2011)033, Joint Opinion on the Draft Law amending the law on the Judiciary and the Draft Law on the Status of Judges and other Legislative Acts of Ukraine, Adopted by the Venice Commission at its 88th Plenary Session (Venice, 14-15 October 2011), para 55.

⁹⁴ Seibert-Fohr, Anja, ed., *Judicial independence in transition*, 2012, 357-404, ესპანეთის ორგანული კანონი სასამართლოს ხელისუფლების შესახებ, მიღებული 1985 წელს.

⁹⁵ Seibert-Fohr, Anja, ed., *Judicial independence in transition*, 2012, 667-739. სასამართლო საბჭოს შესახებ მონტენეგროს კანონი, მიღებული 2008 წელს.

⁹⁶ Seibert-Fohr, Anja, ed., *Judicial independence in transition*, 2012, pp. 273-307, სხვადასხვა სისტემების შესწავლისას შესაძლებელია გამოიყოს 25-მდე სხვადასხვა კატეგორიის დისციპლინური გადაცდომა, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით გვხვდება ევროპული ქვეყნების კანონმდებლობაში

⁹⁷ ესპანეთის ორგანული კანონი სასამართლოს ხელისუფლების შესახებ, მიღებული 1985 წელს, მუხ. 417-419.

⁹⁸ ესპანეთში, ასევე, მოქმედებს სხვადასხვა ხანდაზმულობის ვადები.

განხორციელებისას და გადაცდომებად, რომელთა ჩადენაც შესაძლებელია საქმიანობის ფარგლებს გარეთ.⁹⁹ დისციპლინური გადაცდომები ასევე შესაძლებელია დახასიათდეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.¹⁰⁰ ზოგჯერ კანონი ითხოვს კონკრეტული შედეგის დადგომას ან ასეთი შედეგის დადგომის საფრთხის შექმნას,¹⁰¹ ან საგანგებოდ მიუთითებს ქმედების განხორციელების ხერხზე,¹⁰² ან ხაზს უსვამს ქმედების სისტემატურობას ან განმეორებითობას.¹⁰³ ასევე, კანონმდებელი ზოგჯერ ყურადღებას ამახვილებს ქმედების სუბიექტურ მხარეზე, მაგ.: კანონი ითხოვს, რომ ესა თუ ის ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ

⁹⁹ იტალიის საკანონმდებლო დეკრეტი მაგისტრატების დისციპლინური გადაცდომების გამო საქმისწარმოების შესახებ, 2006 წლის 23 თებერვალი, მუხ. 2-3.

¹⁰⁰ მაგალითად, ზოგიერთი ტიპის გადაცდომა შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ უმოქმედობით – სასამართლო გადაწყვეტილებაში დასაბუთების აბსოლუტური არარსებობა – ალბანეთის კანონი, მუხ. 32 (2) „ე“; ქონების დეკლარირებაზე უარი – იმავე კანონის 32-ე მუხლის „დ“ პუნქტი ან მხოლოდ მოქმედებით – სასამართლო გადაწყვეტილებათა ტექსტში არაჯეროვანი გამოთქმების გამოყენება, რომლებიც ეწინააღმდეგება იურიდიულ დასაბუთებას, ხელყოფს სასამართლოსა და მაგისტრის ღირსებას, რუმინეთის კანონი, 99-ე მუხლის „ტ“ პუნქტი. თუმცა, მათი უმრავლესობა შეიძლება ჩადენილ იქნას, როგორც მოქმედებით, ასევე, უმოქმედობით.

¹⁰¹ ალბანეთის კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ პუნქტი: გ. სამსახურის მიტოვება ან განგრძობადი გამოუცხადებლობა სამი ან მეტი დღით, როდესაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს მხარეთა კონსტიტუციური უფლებების ხელყოფა ან ზიანი მოუტანოს მართლმსაჯულების განხორციელებას.

¹⁰² ესპანეთის ორგანული კანონი სასამართლოს ხელისუფლების შესახებ, მიღებული 1985 წელს, 418 მუხლის პირველი პუნქტი: „იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომი კოლეგების უპატივცემულობა მათი თანდასწრებით, ან წერილობით ან საჯაროდ“.

¹⁰³ ბულგარეთი სასამართლო სისტემის შესახებ 2007 წლის კანონი, მუხ. 301 (1) საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების სისტემატური შეუსრულებლობა. რუმინეთის კანონი, მუხ. 99 (თ): „საქმეების სწრაფი განხილვის მარეგულირებელი ნორმების განმეორებითი და არასაკაპტო დარღვევა“.

განზრახ,¹⁰⁴ არაკეთილსინდისიერად ან უხეში დაუდევრობით,¹⁰⁵ ან წინასწარი შეცნობით¹⁰⁶ და სხვ.

თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის თითოეული საფუძვლის განსაზღვრისას არსებობდეს მისი განმარტება კანონმდებლობის ან პრაქტიკის დონეზე, სადაც შესაძლებელი იქნება მოსამართლეთა ერთგვაროვანი ქმედებები დისციპლინური ორგანოების მხრიდან განსხვავებულად არ იქნას შეფასებული, რაც ხელს შეუშლის განჭვრეტადი სამართლებრივი სივრცის შექმნას. მაგალითად, სერბეთში, სადაც დისციპლინური გადაცდომის სახეები¹⁰⁷ ძალიან დეტალურად არის გაწერილი და ისინი ძირითადად მოსამართლის საქმიანობაში პროცესუალური გადაცდომების აღმოჩენას ეხება და არა ეთიკური ან ქცევის წესების დაღვევას, ასეთი დეტალური ჩამონათვალი ვენეციის კომისიის მიერ დადებითად შეფასდა.¹⁰⁸

აღნიშნულს ვერ ვიტყვით უკრაინის კანონმდებლობასთან დაკავშირებით, სადაც დისციპლინური გადაცდომის სახეებად მიჩნეული იყო, მოსამართლის მიერ საქმის აშკარა

¹⁰⁴ მაკედონიის სასამართლო საბჭოს მიერ 2007 წლის 30 იანვარს მიღებული რეგულაცია მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, 75-ე მუხლი: სამართლიანი პროცესის წესების განზრახ დარღვევა.

¹⁰⁵ რუმინეთის კანონი, მუხ. 99 (f): სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელება არაკეთილსინდისიერად ან უხეში დაუდევრობით.

¹⁰⁶ იტალიის საკანონმდებლო დეკრეტი მაგისტრატების დისციპლინური გადაცდომების გამო საქმისწარმოების შესახებ, 2006 წლის 23 თებერვალი, მე-2 მუხლის „გ“ პუნქტი „კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმის აცილების ვალდებულების წინასწარი შეცნობით შეუსრულებლობა“.

¹⁰⁷ დისციპლინური გადაცდომა მოიცავს: გადაწყვეტილების მომზადების გაუმართლებელი გაჭიანურება, საქმის განხილვის ჩანიშნის გაუმართლებელი გაჭიანურება, საქმის განხილვებზე ხშირი დაგვიანება, მხარეებთან და სასამართლოს აპარატთან აშკარად არამართებული მოპყრობა, საქმეთა გაუმართლებელი გაჭიანურება.

¹⁰⁸ CDL-AD(2008)007, Opinion on the Draft Laws on Judges and the Organisation of Courts of the Republic of Serbia, Adopted by the Venice Commission at its 74th Plenary Session (Venice, 14-15 March 2008), paras 77-78. თუმცა, აქვე აღინიშნა, რომ ასეთი დეტალიზება მეორე მხრივ დისციპლინური საქმის განხილველ კოლეგებს ხელს უშლის სოციალურ კონტექსტში განიხილოს მოსამართლის საქმიანობა.

არაკვალიფიციური გადაწყვეტა, პირთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შეფერხება, ამორალური ქმედება და ზედა ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოყენებული და განმარტებული ნორმების სისტემატური უარყოფა. ვენეციის კომისიის მოსაზრებით დისციპლინური პასუხისმგებლობის პირველი და ბოლო საფუძველი გარკვეულ კითხვის ნიშნებს აჩენდა.¹⁰⁹ მეტიც, ამორალური ქმედება სცდება არამართლზომიერი ქმედების მოთხოვნებს, რაც თავის მხრივ დაზუსტებას საჭიროებს.¹¹⁰

დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხია, დაისაჯოს თუ არა მოსამართლე კანონის დარღვევისთვის (სამართლებრივი შეცდომისთვის – legal error) დისციპლინური წესით.¹¹¹ დასჯადობის მოწინააღმდეგენი არგუმენტებად ასახელებენ იმას, რომ: მოსამართლის მიერ კანონის დარღვევის დროს დაცვის მექანიზმს წარმოადგენს პროცესის შეჯიბრებითობა და სააპელაციო კონტროლი – ზემდგომი სასამართლო ინსტანციები არსებობენ იმისთვის, რათა გაასწორონ ქვემდგომი ინსტანციის

¹⁰⁹ CDL-AD(2007)003, Opinion on the Draft Law on the Judiciary and the Draft Law on the Status of Judges of Ukraine, adopted by the Venice Commission at its 70th Plenary Session (Venice, 16-17 March 2007), paras 34-35, 41, 55; CDL-AD(2010)003, Joint Opinion on the Draft Law on the Judicial System and the Statute of Judges of Ukraine, Adopted by the Venice Commission at its 82nd Plenary Session (Venice, 12-13 March 2010), para. 53, აქაც მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც განხორციელდა, არის ის, რომ მოსამართლის მიერ აშკარა არაკვალიფიციური გადაწყვეტა საქმისა და ზედა ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოყენებული და განმარტებული ნორმების სისტემატური უარყოფა ამოღებულია შემდეგი რედაქციის საკანონმდებლო პაკეტიდან.

¹¹⁰ CDL-AD(2007)003, Opinion on the Draft Law on the Judiciary and the Draft Law on the Status of Judges of Ukraine, adopted by the Venice Commission at its 70th Plenary Session (Venice, 16-17 March 2007), paras 34-35 and paras 41, 55, სადაც აღინიშნა, რომ კვლავ არადამაკმაყოფილებელია „ამორალური ქცევის“ დატოვება პროექტში, რაც ძალიან ბუნდოვანია და არ მოითხოვს მართლზომიერების ქცევის საკითხს და აღნიშნული საკითხი სამოსამართლო ეთიკის დარღვევაში უნდა გადიოდეს.

¹¹¹ ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე ათწლეულებია მიმდინარეობს დისკუსია იმ საკითხზე, უნდა დაისაჯოს თუ არა მოსამართლე ამ ქმედებისთვის.

სასამართლოს შეცდომები,¹¹² კანონის განმარტება და გამოყენება მოსამართლის და არა სადისციპლინო ორგანოების კომპეტენციაა,¹¹³ მოსამართლის ყველა სამართლებრივი შეცდომა დისციპლინური პასუხისმგებლობით რომ მთავრდებოდეს, ეს ძირს გამოუთხრიდა სასამართლოს დამოუკიდებლობას.¹¹⁴ მოსამართლემ ყოველი გადაწყვეტილების მიღების დროს თავის თავს უნდა ჰკითხოს, თუ რა არის კანონის გამოყენების ყველაზე საუკეთესო ვარიანტი და რა არ გამოიწვევს მის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.¹¹⁵ დასჯადობის მომხრეები არგუმენტებად ასახელებენ იმას, რომ: მოსამართლეს ეთიკის კოდექსით ევალება კანონის დაცვა, მოსამართლის სამართლებრივი შეცდომა მხარეებს დიდ ტვირთსა და ხარჯებს აკისრებს, მოსამართლის სამართლებრივი შეცდომა ყოველთვის არ სწორდება გასაჩივრების გზით, მოსამართლის უხეში სამართლებრივი შეცდომა მეტყველებს მის არაკომპეტენტურობაზე.¹¹⁶ ამერიკული სამართლის მიხედვით მოსამართლის სამართლებრივი შეცდომა, მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად, თუ საქმე ეხება მკაფიოდ

¹¹² Jeffrey Shaman, Steven Lubet, James Alfini, *Judicial Conduct and Ethics*, 2007, 2-4.

¹¹³ Synthia Gray, *Line Between Legal Error and Judicial Misconduct: Balancing Judicial Independence and Accountability*, *Hofstra Law Review*, 32, 2003-2004, 1247.

¹¹⁴ Synthia Gray, *Line Between Legal Error and Judicial Misconduct: Balancing Judicial Independence and Accountability*, *Hofstra Law Review*, 32, 2003-2004, p. 1247.

¹¹⁵ Synthia Gray, *Line Between Legal Error and Judicial Misconduct: Balancing Judicial Independence and Accountability*, *Hofstra Law Review*, 32, 2003-2004, 1247. „მოსამართლეებს უნდა შეეძლოთ საქმე გადაწყვიტონ იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მათი თვალსაზრისით გამოიყენება ამ საქმეზე, სასჯელის ან ჯილდოს მოლოდინის გარეშე. ეს არის სასამართლოს დამოუკიდებლობის ცენტრალური პრინციპი. ეს პრინციპი საფრთხის ქვეშ დგება, როდესაც მოსამართლეები დგებიან არჩევანის წინაშე, როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის საქმე და ისინი ასეთ არჩევანს აკეთებენ ყოველდღე. მათ თავის თავს უნდა ჰკითხონ, „თუ რა არის საუკეთესო არჩევანი კანონის მიხედვით, როგორც მე ეს მესმის“ და არა ის, თუ რომელი არჩევანი გამოიწვევს ყველაზე ნაკლებად დისციპლინურ პასუხისმგებლობას“.

¹¹⁶ Gerald Stern, *Judicial Error, That is Subject to Discipline in NY*, 32 *Hofstra Law Review*, 32, 2003-2004, 1547.

ჩამოყალიბებული ნორმის დარღვევას, რომელიც დავას არ იწვევს და ამავდროულად ეს არის: ა) არაკეთილსინდისიერი ან ბ) სერიოზული ან გ) სისტემატური ან დ) გამოუსწორებადი.

რაც შეეხება დისციპლინურ სახდელებს, აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამოსამართლო კარიერასთან (უფლებამოსილების შეწყვეტასთან) დაკავშირებულ სანქციას.¹¹⁷ მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა საგანგებოდ ადგენს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც მხედველობაში მიიღება დისციპლინური სანქციის შერჩევისას. ეს სია საკმაოდ ფართოა: დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე, გადაცდომების რაოდენობა,¹¹⁸ ბრალის ფორმა,¹¹⁹ გადაცდომის შედეგები,¹²⁰ ზიანი, რომელიც მიადგა სასამართლოს რეპუტაციას,¹²¹ გარემოებები, რომლებშიც ჩადენილია ქმედება,¹²² გადაცდომის ხანგრძლივობა,¹²³ მოსამართლის პიროვნული მახასიათებლები,¹²⁴ მოსამართლის წარსული შრომითი სამსახურებრივი საქმიანობა და მიღწევები,¹²⁵ მოსამართლის მიერ საკუთარი ქმედების შეგნება და

¹¹⁷ არსებობს ასევე მორალური და ფინანსური სანქციები.

¹¹⁸ ბოსნიის 2013 წლის კანონპროექტი იუსტიციისა და პროკურატურის საბჭოს შესახებ, მუხ. 69, მაკედონიის სასამართლო საბჭოს მიერ 2007 წლის 30 იანვარს მიღებული რეგულაცია მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, მუხ. 24.

¹¹⁹ ბულგარეთი სასამართლო სისტემის შესახებ, 2007 წლის კანონი, მუხლი 309.

¹²⁰ მაკედონიის სასამართლო საბჭოს მიერ 2007 წლის 30 იანვარს მიღებული რეგულაცია მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, მუხ.24.

¹²¹ გერმანია, Seibert-Fohr, Anja, ed., *Judicial independence in transition*, 2012, 493-494.

¹²² ბულგარეთის სასამართლო სისტემის შესახებ 2007 წლის კანონი, მუხლი 309, მაკედონიის სასამართლო საბჭოს მიერ 2007 წლის 30 იანვარს მიღებული რეგულაცია მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე, მუხ. 24, ხორვატიის 1993 წლის კანონი სასამართლო საბჭოს თაობაზე, მუხლი 21-3.

¹²³ გერმანია, Seibert-Fohr, Anja, ed., *Judicial independence in transition*, 2012, 493-494..

¹²⁴ იქვე.

¹²⁵ ბოსნიის 2013 წლის კანონპროექტი იუსტიციისა და პროკურატურის საბჭოს შესახებ, მუხ. 69.

პასუხისმგებლობის განცდა,¹²⁶ დისციპლინური საქმის განმხილველ ორგანოებთან თანამშრომლობა,¹²⁷ სხვა გარემოებები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიონ სახდელზე.¹²⁸

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ასევე ადგენს თუ რა სახის სახდელები შეიძლება იქნას გამოყენებული ამა თუ იმ სიმძიმის გადაცდომის ჩადენისას. მაგალითად, ესპანეთის კანონმდებლობა, რომელიც ერთმანეთისგან ანსხვავებს გადაცდომის სამ კატეგორიას,¹²⁹ მიუთითებს, რომ მსუბუქი და მძიმე დარვევები ისჯება გაფრთხილებით ან ჯარიმით, ხოლო გამსაკუთრებით მძიმე დარღვევები – უფლებამოსილების შეჩერებით, იძულებითი მივლინებით ან სამსახურიდან გათავისუფლებით.¹³⁰

იქიდან გამომდინარე, რომ მოსამართლის გათავისუფლება უკიდურესი ღონისძიებაა მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოებისას, მნიშვნელოვანია, რომ მთელი ეს პროცესი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს პასუხობდეს. ამ მხრივ, მხარეთა თანასწორობისა და დაცვის უფლებით სარგებლობის თვალსაზრისით, დისციპლინური სამართალწარმოებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსამართლის ინფორმირების, მის მიერ განმარტებების მიცემისა და ადვოკატის დახმარებით სარგებლობის გარანტიები.

დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის უფლებები, ხშირად კანონის სხვადასხვა მუხლებშია მიმოხილული, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, როგორცაა სერბეთი, ბოსნია და ალბანეთი, ამ საკითხს არეგულირებს კანონის ცალკე მუხლი. მაგ.: ალბანეთის კანონის 35-ე მუხლით დისციპლინურ სამართალწარმოება დაქვემდებარებულ მოსამართლეს უფლება

¹²⁶ ბოსნიის 2013 წლის კანონპროექტი იუსტიციისა და პროკურატურის საბჭოს შესახებ, მუხ. 69, გერმანია, Seibert-Fohr, Anja, ed., *Judicial independence in transition*, 2012, 493-494.

¹²⁷ ბოსნიის 2013 წლის კანონპროექტი იუსტიციისა და პროკურატურის საბჭოს შესახებ, მუხ. 69.

¹²⁸ ხორვატიის 1993 წლის კანონი სასამართლო საბჭოს თაობაზე, მუხლი 21-3.

¹²⁹ მსუბუქი, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე.

¹³⁰ ესპანეთის ორგანული კანონი სასამართლოს ხელისუფლების შესახებ, მიღებული 1985 წელს.

აქვს: დეტალურად და გასაგებად ეცნობოს დისციპლინური ბრალდების ფაქტობრივი და სამართლებრივი მხარე; წარმოადგინოს მოთხოვნები და შუამდგომლობები; გაეცნოს დისციპლინურ საქმეში არსებულ მასალებს და წარმოადგინოს მტკიცებულებები; ისარგებლოს ადვოკატის ან კოლეგის დახმარებით სამართალწარმოების დროს და მოსმენილ იქნას მისი თანდასწრებით.

უმეტესი ქვეყნის კანონმდებლობა მოსამართლეს აძლევს ადვოკატის ან სხვა წარმომადგენლის აყვანის უფლებას. ზოგიერთი მათგანი ასევე ხაზს უსვამს მოსამართლის უფლებას, წარმოადგინოს შეპასუხება მის წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებებზე.¹³¹ თუმცა, უკრაინის კანონმდებლობის ის ნორმა, სადაც მოსამართლეს ბრალმდებლისთვის კითხვის დასმის ან შეპასუხების უფლება არა აქვს გარანტირებული, ვენეციის კომისიის დასკვნის შესაბამისად ხარვეზად ჩაითვალა, მოსამართლისთვის დაცვის უფლების გარანტირების თვალსაზრისით.¹³²

სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის მიზნით ასევე, აუცილებელია არსებობდეს მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა. რაც უმეტეს შემთხვევაში დაკმაყოფილებულია ქვეყნების მიერ, მაგრამ აქვე აუცილებელია ეს უფლება გარანტირებული იყოს სიზუსტით, კერძოდ სად და რა ეტაპებზე შეიძლება განხორციელდეს გასაჩივრება და რა საპროცესო გარანტიები არსებობს ამ დროს.¹³³

¹³¹ გაერთიანებული სამეფო, მაკედონია, სერბეთი. მონტენეგროში მოსამართლეს აქვს უფლება ბრალდების გადაცემიდან 8 დღეში წარმოადგინოს შეპასუხება – სასამართლო საბჭოს წესები, მიღებული 2011 წელს, მუხ. 57.

¹³² CDL-AD(2007)003, Opinion on the Draft Law on the Judiciary and the Draft Law on the Status of Judges of Ukraine, adopted by the Venice Commission at its 70th Plenary Session (Venice, 16-17 March 2007), paras. 36-38, დასკვნაში აღნიშნულია, რომ კანონი არ ითვალისწინებს მოსამართლის უფლებას ბრალმდებლისთვის კითხვის დასმისა და შეპასუხების შესახებ.

¹³³ CDL-AD(2011)033, Joint Opinion on the Draft Law amending the law on the Judiciary and the Draft Law on the Status of Judges and other Legislative Acts of Ukraine, Adopted by the Venice Commission at its 88th Plenary Session (Venice, 14-15 October 2011), paras. 54-59, სადაც ვენეციის კომისიამ დადებით ფაქტორად ჩათვალა მოსამართლის წარმომადგენლის (დაცვის) და

3.3 დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და სახდელი – საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.¹³⁴ საქართველოში დისციპლინურ სამართალწარმოებას არეგულირებს 2000 წლის 23 თებერვალს მიღებული კანონი საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. თუმცა, იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებულია ცვლილებათა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების მოქმედ სისტემაში გარკვეული ცვლილებების განხორციელებას.¹³⁵

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და გადაცდომის სახეები დადგენილია კანონის მე-2 მუხლის მეორე პუნქტით, ესენია: ა) ამოღებულია;¹³⁶ ბ) კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება. კორუფციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დარღვევა, თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას;¹³⁷ გ) მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი

გასაჩივრების უფლება, რეკომენდაცია გაუწია სიზუსტის ნაკლები ხარისხის გამოსწორებას.

¹³⁴ საქართველოს კონსტიტუცია, 84(3) მუხლი.

¹³⁵ კანონპროექტი წარდგენილია საქართველოს პარლამენტში, იხ. <http://www.parliament.ge/ge/law/9716/22697>.

¹³⁶ კანონის უხეში დარღვევა – ვენეციის კომისიის აღნიშნულ დასკვნასთან კანონმდებლობის შესაბამისობის მიზნით, 2007 წლის 11 ივლისის ცვლილებებით უფრო დაზუსტდა „კანონის უხეში დარღვევის“ დეფინიცია, ხოლო 2012 წლის 27 მარტის ცვლილებით აღნიშნული ნორმა ამოღებულია კანონიდან, 27.03.2012.

¹³⁷ [ბ) კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება. კორუფციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის

საქმიანობა ან მოსამართლის მოვალეობებთან ინტერესთა შეუთავსებლობა; დ) მოსამართლისთვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას; ე) საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება; ვ) მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება; ზ) მოსამართლეთა თათბირის ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება; თ) დისციპლინური უფლებამოსილების მქონე ორგანოს საქმიანობისთვის ხელის შეშლა ან მისდამი უპატივცემულობა; ი) სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა.

დისციპლინური სახდელების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება.¹³⁸ ხოლო მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი შეიძლება გახდეს ზემოთ აღნიშნული „ბ“, „დ“, „გ“, „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომები.

კანონის მოქმედი რედაქციით, სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მიიღება კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სიმძიმის, რაოდენობის, აგრეთვე წარსულში ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გათვალისწინებით.¹³⁹ აღნიშნული წინაპირობის მიუხედავად, მოსამართლის გათავისუფლების, როგორც სახდელის დაკისრების შესახებ ნორმა საჭიროებდა ახალ ფორმულირებას, რომელიც დააწესებდა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებისთვის გაცილებით უფრო მაღალ სტანდარტს. აღსანიშნავია, რომ ასეთ ჩანაწერს ითვალისწინებს ცვლილებათა პაკეტი, რომელიც აცხადებს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების დისციპლინურ სახდელს „უკიდურეს ღონისძიებად“, რომლის

შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დარღვევა, თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას (ამოქმედა 2017 წლის 1 იანვრიდან)].

¹³⁸ კანონის მე-4 მუხლის დ) ქვეპუნქტი. ამ მუხლის შესაბამისად, სხვა სახდელებია: ა) შენიშვნა; ბ) საყვედური; გ) მკაცრი საყვედური; ე) საერთო სასამართლოს მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხული მოსამართლის რეზერვიდან ამორიცხვა.

¹³⁹ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის 56-ე მუხლის პირველი პუნქტი.

გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ „განსაკუთრებულ შემთხვევებში“. ნორმის ასეთი ფორმულირება შეესაბამება პროპორციულობის პრინციპს,¹⁴⁰ თუმცა, აუცილებელია ტერმინი „განსაკუთრებულ შემთხვევებში“ პრაქტიკაში განმარტებულ იქნეს ნაკლებ ბუნდოვნად.¹⁴¹

როგორც უკვე აღინიშნა, განსაკუთრებით ფაქიზია ზღვარი მოსამართლის სამართლებრივ შეცდომასა და დისციპლინურ გადაცდომას შორის.¹⁴² როგორც სხვა ქვეყნებში, ეს საკითხი საქართველოს გამოცდილებისთვისაც პრობლემას წარმოადგენდა. ტრადიციულად ისმის შეკითხვა, შეიძლება თუ არა მოსამართლე დაისაჯოს გადაწყვეტილების მიღებისას კანონის დარღვევის გამო? ამ შეკითხვაზე ცალსახა პასუხი დღემდე არ არსებობს და სხვადასხვა ქვეყნებს აქვთ საკუთარი მიდგომები, თუმცა იკვეთება საერთო ტენდენციებიც. კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახედ განისაზღვრებოდა „საქმის განხილვისას მოსამართლის მიერ კანონის უხეში დარღვევა“.¹⁴³ თუმცა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

¹⁴⁰ CDL-AD(2014)032, ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატისა (DHR) და ადამიანის უფლებათა დირექტორატის(DGI) ერთობლივი დასკვნა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალ-წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებათა კანონპროექტზე მიღებულია ვენეციის კომისიის მე-100 პლენარულ სხდომაზე (რომი, 10-11 ოქტომბერი, 2014 წ.), § 64, სადაც აღინიშნა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-2(2) მუხლში, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების თაობაზე გამოყენებული ზოგიერთი ფრაზის ბუნდოვანება, როგორცაა, მაგალითად, „მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა“, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას სძენს 56-ე მუხლის პირველი პუნქტით მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებისთვის დაწესებულ ახალ სტანდარტს.

¹⁴¹ მისი გაგება უნდა მოხდეს კონსტიტუციისა და დისციპლინური საქმეების გადაწყვეტის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, როგორცაა მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობა.

¹⁴² Synthia Gray, Line Between Legal Error and Judicial Misconduct: Balancing Judicial Independence and Accountability, Hofstra Law Review, 32, 2003-2004, 1277.

¹⁴³ ეს ფორმულირება შემდგომში რამდენჯერმე შეიცვალა, კერძოდ, 2005 წლის 23 ივნისის ცვლილებით ჩამოყალიბდა როგორც: „კანონის უხეში

გარანტი მოსამართლის მიერ კანონის უხეშ ან/და არაერთგზის დარღვევა არასწორად არ ყოფილიყო გამოყენებული, არის ის, რომ კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ ჩაითვლება ასეთ გადაცდომად.¹⁴⁴ ამის მიუხედავად, 2009-2012 წლების სადისციპლინო კოლეგიის სტატისტიკა ცხადყოფს, რომ მოსამართლის გათავისუფლებით დასრულებული 4 საქმიდან ოთხივე აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენისთვის იქნა წარმოებული.

კანონის უხეში დარღვევის შესახებ ნორმა ნეგატიურად იქნა შეფასებული ვენეციის კომისიის 2007 წლის 19 მარტის დასკვნით, რომელშიც აღინიშნა შემდეგი: მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მოხსენიებული დარღვევები იმდენად ფართოდ არის ფორმულირებული, რომ მათი მოქმედების ქვეშ შეიძლება მოექცეს საქმეთა განხილვის დროს მოსამართლის მოქმედებების საკმაოდ ფართო სპექტრი და იმის ნაცვლად, რომ შეზღუდოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის ფარგლები, ის აშკარად შეუქმნის საფრთხეს სასამართლოს დამოუკიდებლობას.¹⁴⁵

ან/და არაერთგზის დარღვევა“, ხოლო მუხლის შენიშვნაში დაიწერა, რომ „კანონის უხეშ დარღვევად ჩაითვლება კანონმდებლობის არსებითი დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა (ან შეეძლო მიეყენებინა) პროცესის მონაწილის ან მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. ხოლო კანონის არაერთგზის დარღვევად ჩაითვლება კანონმდებლობის 3-ჯერ და მეტჯერ დარღვევა.

¹⁴⁴ არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისთვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

¹⁴⁵ CDL-AD (2007)009, ვენეციის კომისიის დასკვნა საქართველოს კანონზე „მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“, მიღებული 70-ე პლენარულ სხდომაზე (16-17 მარტი, 2007 წ.), § 17, სადაც აღინიშნა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის მიზანია უზრუნველყოს ის, რომ მოსამართლეები იყვნენ თავისუფალი საქმეების განხილვის დროს კანონის საფუძველზე და არ ემინოდეთ რაიმე შედეგების მათი ვალდებულებების შესრულებისას გარდა მართლმსაჯულების გამრუდების შემთხვევებისა (სისხლის სამართლის საქმეებზე) არსებობდა იმის საფრთხე, რომ ამ დებულებაში მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი ექსკლუზიურად მოსამართლის ქმედებაზე ყოფილიყო

ვენეციის კომისიამ თავის დასკვნაში რეკომენდაცია გაუწია რა აღნიშნული დებულების კანონიდან ამოღებას, ამის საფუძველად საბოლოოდ მიუთითა ორი მთავარი არგუმენტი: 1. ეს ნორმა არ არის საკმარისად დეტალური და 2. ის იძლევა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევის საშუალებას, რაც დაცული უნდა იყოს მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპით.¹⁴⁶ ვენეციის კომისიის აღნიშნულ დასკვნასთან კანონმდებლობის შესაბამისობის მიზნით, 2007 წლის 11 ივლისის ცვლილებებით უფრო დაზუსტდა „კანონის უხეში დარღვევის“ დეფინიცია, ხოლო 2012 წლის 27 მარტის ცვლილებით აღნიშნული ნორმა ამოღებულია კანონიდან.

მიუხედავად იმისა, რომ „კანონის უხეში დარღვევა“, როგორც დისციპლინური გადაცდომის სახე, ამოღებულია კანონიდან, არასწორი გადაწყვეტილებისთვის მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი მაინც რჩება დღის წესრიგში, ვინაიდან „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონში არსებობს მე-2 მუხლის მეორე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი – მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, რაც სადისციპლინო კოლეგიის დღემდე არსებული პრაქტიკით შესაძლებელია არაჯეროვან შესრულებად დაკვალიფიცირდეს ის შემთხვევები, რასაც 2012 წლამდე მოიცავდა „კანონის უხეში დარღვევა“.¹⁴⁷ ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ „კანონის უხეში

კონცენტრირებული საქმის განხილვის ან ვერდიქტის, ან განჩინების გამოტანის დროს. შესაბამისად, ისინი ვრცელდება თავად სამოსამართლო პროცესზე, მოსამართლის მიერ კანონის განმარტებაზე საქმის განხილვის დროს, რაც არის სამოსამართლო ფუნქციის არსი, ანუ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება.

¹⁴⁶ CDL-AD (2007)009, ვენეციის კომისიის დასკვნა საქართველოს კანონზე „მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“, მიღებული 70-ე პლენარულ სხდომაზე (16-17 მარტი, 2007 წ), § 22.

¹⁴⁷ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2007-2013 წლების პრაქტიკის სტატისტიკა. ამ კუთხით, მნიშვნელოვან ნოვაციას წარმოადგენს კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, რომელშიც აღინიშნა, რომ დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის ზღვარის გავლებისას გათვალისწინებული უნდა იქნას შეცდომის გამოსწორების

დარღვევა”, როგორც დისციპლინური გადაცდომის სახე, ამოღებულ იქნა კანონიდან, არასწორი გადაწყვეტილებისთვის მოსამართლის შესაძლო პასუხისმგებლობის საკითხი მაინც რჩება დღის წესრიგში. ის დარღვევები, რომლებიც 2012 წლამდე კვალიფიცირდებოდა ”კანონის უხეშ დარღვევად” დღეს შესაძლებელია მიეცეს ”მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების კვალიფიკაცია“. 2009-2012 წლის სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ოთხი საქმიდან, რომელიც მოსამართლის გათავისუფლებით დასრულდა, სამი მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების საფუძველით იქნა წარმოებული.

ვენეციის კომისიის 2007 წლის დასკვნაში¹⁴⁸ კრიტიკის მიუხედავად, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველის შესახებ დებულებები არ არის განხილული ცვლილებათა კანონპროექტში, რომელიც წარდგენილია საქართველოს პარლამენტში.¹⁴⁹

დისციპლინური გადაცდომა, რომელიც გამოიხატება სამოსამართლო ეთიკის ნორმების სხვა სახის დარღვევაში,¹⁵⁰ და რომელზეც ასევე დააფიქსირა ვენეციის კომისიამ კრიტიკა, კვლავ გათვალისწინებულია მე-2 მუხლის, მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით,

შესაძლებლობა, მისი ხარისხი, განმეორებითი და არაერთგზისი ხასიათი, მოსამართლის კეთილსინდისიერება, მისი მოტივი.

¹⁴⁸ CDL-AD (2007)009, ვენეციის კომისიის დასკვნა საქართველოს კანონზე „მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“, მიღებული 70-ე პლენარულ სხდომაზე (16-17 მარტი, 2007 წ.), § 36, სადაც აღინიშნა, რომ პასუხისმგებლობის საფუძველები უნდა გადაიხედოს და უფრო ზუსტად მოხდეს მათი განსაზღვრა ისეთი ფორმით, რომ გამოირიცხოს მათი გამოყენება სხვა მიზნებისთვის, გარდა დისციპლინური სამართალწარმოების ნამდვილი მიზნებისა.

¹⁴⁹ CDL-AD(2014)032, ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DHR) ადამიანის უფლებათა დირექტორატის(DGI) ერთობლივი დასკვნა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებათა კანონპროექტზე მიღებულია ვენეციის კომისიის მე-100 პლენარულ სხდომაზე (რომი, 10-11 ოქტომბერი, 2014 წ.), § 18.

¹⁵⁰ ძველი რედაქციით მეორე მუხლის მეორე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

შეცვლილი სახით “სამოსამართლო ეთიკის დარღვევა”. ვენეციის კომისია და დირექტორატი განმეორებით აღნიშნავენ, რომ ნორმიდან ნათლად არ ჩანს, ეს დებულება მოქმედი ეთიკის კოდექსზე აკეთებს მითითებას თუ მასში ივარაუდება ეთიკის ზოგადი, დაუწერელი წესებიც. რამდენიმე დასკვნაში ვენეციის კომისიამ კრიტიკულად შეაფასა ზოგადი სადამსჯელო მექანიზმის შექმნა ეთიკის კოდექსის დადგენისთვის, როგორც ძალზე ზოგადი და ბუნდოვანი ნორმებისა, და აღნიშნა, რომ გაცილებით უფრო ზუსტი დებულებები უნდა გაიწეროს, როდესაც საქმე ეხება დისციპლინურ პასუხისმგებლობას.¹⁵¹ მიუხედავად იმისა, რომ ამ საფუძვლით ამ ეტაპზე ჯერ არ ყოფილა ისეთი დისციპლინური საქმე, რომელიც მოსამართლის გათავისუფლებით დასრულდებოდა, ეს მაინც ვერ ამსუბუქებს მოსამართლის მდგომარეობას.

აქედან გამომდინარე, კანონმდებლობით ზუსტად განუსაზღვრელობის პირობებში, სადისციპლინო ორგანოებმა უნდა მოახდინონ აღნიშნული დებულების უფრო მკაცრი ინტერპრეტაცია და მოსამართლის ნამდვილი ფუნქციის დამოუკიდებელი სასამართლო განხილვის დასაცავად, მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს დისციპლინური საფუძვლების ფართო და ღია განმარტებები.¹⁵²

¹⁵¹ CDL-AD(2013)035, ვენეციის კომისიის დასკვნა ტაჯიკეთის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსზე, მიღებულია ვენეციის კომისიის 97-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 6-7 დეკემბერი, 2013 წ.), § 16-18; ასევე ვენეციის კომისიის დასკვნები CDL-AD (2014)006, 35-ე პუნქტი, CDL-AD(2014)007, 111-ე პუნქტი.

¹⁵² CDL-AD(2014)032, ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DHR) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DGI) ერთობლივი დასკვნა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებათა კანონპროექტზე მიღებულია ვენეციის კომისიის მე-100 პლენარულ სხდომაზე (რომი, 10-11 ოქტომბერი, 2014 წ.), § 29, სადაც ვენეციის კომისიის და დირექტორატის შემდგომი რეკომენდაციაა, დაიხვეწოს დისციპლინური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი დებულებები (მაგ.: მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში გაწერილი დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები).

არც მოქმედი კანონი და არც კანონპროექტი არ აწესებს მტკიცების სტანდარტს და დასაშვები მტკიცებულებების სახეს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში. ისინი ასევე არ შეიცავენ რაიმე მითითებას ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებზე, რომ მოხდეს აღნიშნულ კოდექსებში გაწერილი მტკიცების სტანდარტების ანალოგიის სახით გამოყენება დისციპლინური სამართალწარმოების დროს, კერძოდ, იმ საპროცესო საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც გაწერილი არ არის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონით.¹⁵³

კანონი არ განსაზღვრავს, მაგალითად, ისეთ საკითხს, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ან სადისციპლინო კოლეგია მიიღებს თუ არა მტკიცებულებას, რომელიც მოპოვებულია კანონის დარღვევით.¹⁵⁴ აღნიშნულს აქვს თანმდევი შედეგი სააპელაციო განხილვისთვის, როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის მიერ განხილული მტკიცებულება შესაძლოა მიჩნეულ იქნას დაუშვებელ მტკიცებულებად უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ.¹⁵⁵

¹⁵³ CDL-AD(2014)032, ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DHR) ადამიანის უფლებათა დირექტორატის(DGI) ერთობლივი დასკვნა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებათა კანონპროექტზე მიღებულია ვენეციის კომისიის მე-100 პლენარულ სხდომაზე (რომი,10-11 ოქტომბერი, 2014 წ.), § 31, გამომდინარე აქედან ბუნდოვანია, თუ რომელი მტკიცებულება არის რელევანტური, დასაშვები ან საკმარისი და რა კრიტერიუმები გამოიყენება აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად.

¹⁵⁴ რაც ადმინისტრაციული, სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის პროცესით დაუშვებლად იქნებოდა ცნობილი.

¹⁵⁵ CDL-AD(2014)032, ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DHR) ადამიანის უფლებათა დირექტორატის(DGI) ერთობლივი დასკვნა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებათა კანონპროექტზე მიღებულია ვენეციის კომისიის მე-100 პლენარულ სხდომაზე (რომი,10-11 ოქტომბერი, 2014 წ.), § 32, საჩივრის ავტორი

რა თქმა უნდა, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონი ვერ გაითვალისწინებს ყველა შესაძლო საპროცესო საკითხს, რომელიც დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში შეიძლება წამოიჭრას. თუმცა, იმ საპროცესო წესების გაუთვალისწინებლობამ, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს მოსამართლის მიერ დაცვის უფლებით სარგებლობაზე, შესაძლოა გამოიწვიოს სერიოზული კითხვები, დისციპლინური წარმოების შესაბამისობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნასთან, გამომდინარე იქიდან, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედება ვრცელდება დისციპლინურ სამართალწარმოებაზე მე-6 მუხლის სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოებაზე გავრცელების ფარგლებში.¹⁵⁶

რაც შეეხება მოსამართლეთა ინფორმირებას, სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობას და მხარეთა თანასწორობას, მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის პირველი მუხლის მესამე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით კანონში გაჩნდება დებულება იმის შესახებ, რომ მოსამართლის მიერ სადისციპლინო გადაცდომის ჩადენის თაობაზე საჩივრის შეტანისთანავე იუსტიციის საბჭო დაუყოვნებლივ ატყობინებს მოსამართლეს ამის თაობაზე, აღნიშნული არ ითვლება საკმარის გარანტიად. კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის ახალი რედაქცია, საბჭოს ავალდებულებს სხდომაზე მოიწვიოს მოსამართლე, რაც დადებით ცვლილებად არის მიჩნეული.¹⁵⁷ თუმცა, თანაბარი

(ანონიმურის გარდა ნებისმიერი პირი, მოსამართლე, სასამართლოს ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოხელე, საგამომიებო ორგანოს თანამშრომელი, მასმედია).

¹⁵⁶ *კემპბელი და ფელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Campbell and Fell v. the United Kingdom)*, 1984 წლის 28 ივნისი, *ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ (Volkov v. Ukraine)*, 2013 წლის 27 მაისი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია კანონპროექტის შევსება და მითითების დამატება იმის თაობაზე, რომ, თუ საპროცესო საკითხი ნათლად არ არის რეგულირებული დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონით, გამოყენებულ უნდა იქნას ერთ-ერთი საპროცესო კოდექსი ანალოგიის წესით და მხოლოდ ის მტკიცებულება იქნება დასაშვები, რომელიც მოპოვებულია შესაბამისი საპროცესო კოდექსის მტკიცებულების შესახებ წესების დაცვით.

¹⁵⁷ CDL-AD(2014)032, ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DHR)

შესაძლებლობების პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით, ვენეციის კომისია იძლევა კანონპროექტის შესწორების რეკომენდაციას იმგვარად, რომ მოსამართლეს ადრეული ეტაპიდანვე შეეძლოს დამცველის დახმარებით სარგებლობა.¹⁵⁸ ამასთან, დაკავშირებით, სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის განხილვაზე მოსამართლისთვის დამცველის მოწვევის უფლების გათვალისწინება არა საკმარისია. ის უნდა ვრცელდებოდეს დისციპლინური სამართალწარმოების ყველა ეტაპზე და არა მხოლოდ სადისციპლინო კოლეგიის მიერ საქმის განხილვაზე.¹⁵⁹

სადისციპლინო კოლეგიის წევრის ან კოლეგიის მთელი შემადგენლობის აცილების პროცედურა დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის ან დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემი ორგანოს წარმომადგენლის მიერ რეგულირდება საკანონმდებლო ცვლილებით. თუმცა, ნორმა არ მიუთითებს აცილების საფუძვლებზე.¹⁶⁰ ამასთან, ნორმა არ შეიცავს მითითებას რომელიმე სხვა საპროცესო კოდექსზე ან საპროცესო სტანდარტებზე. ამდენად, მიზანშეწონილია აღნიშნულ დებულებას დაემატოს მითითება სადისციპლინო კოლეგიის წევრის

ადამიანის უფლებათა დირექტორატის(DGI) ერთობლივი დასკვნა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებათა კანონპროექტზე მიღებულია ვენეციის კომისიის მე-100 პლენარულ სხდომაზე (რომი, 10-11 ოქტომბერი, 2014 წ.), § 50.

¹⁵⁸ იქვე.

¹⁵⁹ კანონის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის ახალი რედაქცია აცხადებს, რომ სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის განხილვაზე მოსამართლეს უფლება აქვს, მოიწვიოს დამცველი.

¹⁶⁰ კანონპროექტის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი, (მაგ.: სადისციპლინო კოლეგიის წევრის თვითაცილების საფუძვლები, რაც მითითებულია კანონის 34(1) და კანონპროექტის 34(2) მუხლებში, როგორც არის: ისეთი გარემოების არსებობა, რომელიც ხელს შეუშლის კოლეგიის წევრს საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვაში; ან თუ მის მიერ ან მისი მონაწილეობით გამოტანილი სასამართლოს განჩინება, დადგენილება, კერძო განჩინება, სადისციპლინო კოლეგიის წარდგინება ანდა მისი მოხსენებითი ბარათი საფუძვლად დაედო მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრას).

თვითაცილების საფუძვლებზე, რაც გადმოცემულია 34-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში.¹⁶¹

დისციპლინური სამართალწარმოების დამწყებ ორგანოდ გვევლინება იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც შემდეგ საქმეს გადასცემს სადისციპლინო კოლეგიას. აღნიშნული უფლებამოსილება კიდევ უფრო დაზუსტდა კანონპროექტით, რომელიც განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, როგორც ერთადერთ ორგანოს,¹⁶² უფლებამოსილებით განიხილოს საჩივარი, მოსამართლისგან მიიღოს ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით და შეაფასოს, არსებობს თუ არა საკმარისი საფუძველი მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მისაცემად, რა დროსაც საქმე გადაეცემა სადისციპლინო კოლეგიას.¹⁶³ აღნიშნული მით უფრო მისაღებია, ვინაიდან, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ისე სადისციპლინო კოლეგია მოსამართლე წევრების უმრავლესობით, მაგრამ არა გადაამწყვეტი უმრავლესობით გვევლინება.¹⁶⁴

¹⁶¹ CDL-AD(2014)032, ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DHR) ადამიანის უფლებათა დირექტორატის(DGI) ერთობლივი დასკვნა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებათა კანონპროექტზე მიღებულია ვენეციის კომისიის მე-100 პლენარულ სხდომაზე (რომი, 10-11 ოქტომბერი, 2014 წ.), § 52.

¹⁶² პროექტის მე-7 მუხლი აუქმებს სასამართლოს თავმჯდომარეების უფლებას, დაიწყონ დისციპლინური სამართალწარმოება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსაზღვრავს, როგორც ერთადერთ ორგანოს დისციპლინური სამართალწარმოების ინიცირების უფლებამოსილებით მოსამართლეთა მიმართ.

¹⁶³ კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მე-3 დასკვნის 68-ე პუნქტთან, რომელიც ადგენს, რომ საჭიროა იმ პროცედურების უფრო მეტი ფორმალიზება, რომლებიც უკავშირდება დისციპლინური დევნის დაწყებას.

¹⁶⁴ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის დაკომპლექტების წესი, ასევე, დისციპლინური სამართალწარმოების გადაწყვეტილებები მიიღება საბჭოს წევრთა 2/3 უმრავლესობით, რაც მოითხოვს არანაკლებ ერთი არამოსამართლე წევრის თანხმობას.

საქართველოს კანონმდებლობით ასევე უზრუნველყოფილია სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა სადისციპლინო პალატაში.¹⁶⁵ მიუხედავად, იმ გარანტიებისა, რაც საქართველოს კანონმდებლობით არსებობს, როგორცაა საქმის განმხილველი ორგანოს დამოუკიდებლობა და მოსამართლეთა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღება, დამატებით გადახედვას საჭიროებს კანონში დისციპლინურ გადაცდომათა ჩამონათვალი და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის გარანტიები.

დასკვნა

საქართველოში, ისევე როგორც მრავალ ევროპულ და არა მარტო ევროპულ ქვეყანაში, სასამართლოში მოსამართლეთა დანიშნვა/გათავისუფლების საკითხი, მათ შორის დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა, განვითარებას განიცდის. თანამედროვე ეტაპზე რეფორმის მიზანია მისი დაახლოება საერთაშორისო-ევროპულ სტანდარტებთან. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი შემდგომი საკანონმდებლო ცვლილება დადებით ფაქტორებს მოიცავს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, ჯერ კიდევ გადასახედია მოსამართლეთა თანამდებობიდან ავტომატური გათავისუფლების საფუძვლები,¹⁶⁶ სადაც მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან დისციპლინური გადაცდომის სახეები და მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების ავტომატური საფუძველი. მოსამართლის ავტომატური გათავისუფლების საფუძვლების ჩამონათვალი უნდა დარჩეს მხოლოდ ისეთი ჩამონათვალი, რაც ნაკლებად საჭიროებს დამატებით შესწავლა/მოკვლევას და შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს გარანტიებს, რომელიც მოსამართლეს წარმოეშობა იმ შემთხვევაში, თუკი მისი საქმე განიხილება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს

¹⁶⁵ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის მუხლი 60.

¹⁶⁶ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლი.

კანონის შესაბამისად ან სხვა სამართალწარმოების გზით. მოსამართლე ვერ სარგებლობს ამგვარი დაცვით, როდესაც მისი თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიღებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობაც ვერ იქნება მოსამართლის დამოუკიდებლობის დამბალანსებელი ფაქტორი.

რაც შეეხება დისციპლინურ სამართალწარმოებას, ამ დროს მნიშვნელოვანია შენარჩუნდეს ბალანსი ისეთ მიზნებს შორის, როგორცაა ერთი მხრივ, მოსამართლის მიერ ჩადენილი გადაცდომის ეფექტიანი გამოვლენა-გამოძიება და მეორე მხრივ, მოსამართლის უფლებების დაცვა, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მის საქმიანობაში ჩაურევლობა.¹⁶⁷ შესაბამისად, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები უნდა გადაიხედოს და უფრო ზუსტად მოხდეს მათი განსაზღვრა ისეთი ფორმით, რომ გამოირიცხოს მათი გამოყენება სხვა მიზნებისთვის.¹⁶⁸

დღეს, საკანონმდებლო დონეზე დადგენილი არ არის დისციპლინური გადაცდომის, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლის, ზოგადი დეფინიცია. ასევე, არ არის მოცემული დისციპლინური გადაცდომის კონკრეტული სახეების განმარტება/დეფინიცია. ასევე, კანონი არ განსაზღვრავს იმ ქმედებათა ჩამონათვლას, რისთვისაც მოსამართლეს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა. შესაბამისად, მიზანშეწონილია გადაიხედოს სამოსამართლო ეთიკის წესები და იმდაგვარად მოხდეს მისი ფორმულირება, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის გადაცდომად ზუსტად გაიწეროს, ეთიკის რომელი წესის დარღვევა გამოიწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას თანამდებობიდან გათავისუფლების სანქციით.

¹⁶⁷ Gerald Stern, Judicial Error, That is Subject to Discipline in NY, Hofstra Law Review, 32, 2003-2004, 1562, იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლის ქმედებაში არაკეთილსინდისიერება ადვილი დასამტკიცებელი არ არის.

¹⁶⁸ CDL-AD (2007)009, ვენეციის კომისიის დასკვნა საქართველოს კანონზე „მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“, მიღებული 70-ე პლენარულ სხდომაზე (16-17 მარტი, 2007 წ), § 30.

კანონში უნდა გაჩნდეს მითითება ეთიკის კოდექსის იმ კონკრეტულ ნორმებზე, რომელთა დარღვევამაც შეიძლება გამოიწვიოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა.¹⁶⁹

სხვადასხვა ქვეყნის მაგალითების განხილვის საფუძველზე ასევე, გამოიკვეთა დისციპლინური დარღვევების სხვადასხვა ჯგუფებად დაყოფის¹⁷⁰ და ამ დაყოფის მიხედვით სხვადასხვა სანქციის გამოყენების შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს დისციპლინური სამართალწარმოების დახვეწის მიზნით გარკვეული საკითხების დარეგულირებას, სასურველია, ამ გარანტიებს დაემატოს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი გარანტიებიც, როგორცაა მოსამართლის დროულად ჩართვა სამართალწარმოების პროცესში, დაცვის უფლების გარანტირება, ადეკვატური დრო პოზიციის მოსამზადებლად, მტკიცებულებათა მოპოვება, დასაშვებობა და მისი იურიდიული ძალის საკითხი.

¹⁶⁹ კანონსა და ეთიკის კოდექსს შორის დუბლირების შემთხვევაში, გადაცდომები უნდა დარჩეს ეთიკის კოდექსში.

¹⁷⁰ განსაკუთრებით მძიმე, მძიმე და მსუბუქი დარღვევები.